# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 1 ნოემბერი 2005 №251 (2574) ფასი 50 თეთრი




**კახა ლომაია: მთავარია ბალანსი!**

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან

3



**კლიმატს კლემენტე შეცვლის**

ბილბაოს ახალი მწვრთნელი ჰყავს

8



**კახური საფარი**

12

# ბურუსიანი ვიზიტი

## უეფას დირექტორ-განმკარგულებელმა ლარს-კრისტერ ოლსონმა თბილისში ჩამოაღწია



ბაჩო ქვარიშვილის ფოტო

# კობიაშვილის კითხვის ნიშანი

გუშინ სააგენტო „როიტერმა" გაავრცელა ცნობა, რომ გელზენკირხენის „შალკეს" ქართველი ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი ჩემპიონთა ლიგის დღევანდელ მატჩს თურქული „ფენერბაჰჩეს" წინააღმდეგ ტრავმის გამო გამოტოვებს. კობიაშვილს კუნთი აქვს დაჭიმული და დიდი შანსია, საქართველოს ნაკრებსაც დააკლდეს. შევახსენებთ, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი 12 და 16 ნოემბერს ბულგარეთთან და იორდანიასთან გამართავს ამხანაგურ მატჩებს.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ოლსონი თბილისშია

უეფას დირექტორ-განმკარგულებელ ლარს-კრისტერ ოლსონის საქართველოში ვიზიტი ოდენ რამდენიმე საათით გადაიდო. გადაიდო ოლსონის პრესკონფერენციაც, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო. საქმე ისაა, რომ ბურუსის გამო თბილისის აეროპორტმა მიუნხენის რეისი ვერ მიიღო და უეფას მაღალჩინოსანიც წუხელ პარიზიდან ჩამოფრინდა.

ლარს-კრისტერ ოლსონი პრესკონფერენციას დღეს გამართავს, მერე კი, როგორც ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, მცხეთაში, უეფას სახალისო ფეხბურთის პროგრამით აშენებულ მინი-მოედანს გახსნის, რომელიც „არმაზის" სტადიონის გვერდით გაკეთდა.

უეფას ჩინით მეორე კაცი, რა თქმა უნდა, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსაც შეხვდება და, როგორც შევიტყვეთ, საუბრის მთავარი თემა ფინანსური საკითხები იქნება.

ლუკა თალაკვაძე

# მახარაძის შვებულება ბათუმში მთავრდებაო



ერთი თამაშიც და, „ზესტაფონს" თემურ მახარაძე დაუბრუნდება — ასეთი ხმა გამოვიდა იმერული კლუბიდან, რომელსაც ახლა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი თავკაცობს.

გეხსომებათ, მახარაძე კლუბის ხელმძღვანელობამ ერთი თვის წინ, ბოლნისის „სიონთან" 0:1 წაგების მერე დაითხოვა სამსახურიდან, თუმცა ოფიციალურად ითქვა, მახარაძე უბრალოდ შვებულებაში გავუშვითო. ჩანს, მართლაც ასე მოხდება — ჟორჟიკაშვილი „ზესტაფონს" 5 ნოემბერს „ბათუმთან" მატჩშიც გაუძღვება და...

მოკლედ, დაველოდოთ მომავალ ტურს.

ლუკა თალაკვაძე

საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
11 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# უსწრაფესი ჩვეულებრივი და განსაკუთრებული ამბები

დავით თავართქილაძე

ეს ტურის ბოლო მატჩი იყო და „ბათუმმა" ერთი დღით ჩამორთმეული მეშვიდე ადგილი თბილისური სამი ქულით დაიბრუნა — „თბილისმა" კვლავ წააგო, აჭარლებმა ლოგიკური გამარჯვება მოიპოვეს — ერთი სიტყვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

შეხვედრა ნახევარი წუთის დაწყებულიც არ იყო, როცა გიორგი მანწკავას პასით ზაზა ზირაქიშვილი რევაზ თევდორაძესთან პირისპირ აღმოჩნდა და შორეულ კუთხეში შეაგდო ბურთი — ზაზამ მიმდინარე სეზონის უსწრაფესი გოლი გაიტანა.

კარგად მოქმედებდნენ „ბათუმის" ფლანგელები: მარცხნიდან გიზო ჯელაძე უტევდა „თბილისს", მარჯვნიდან ზურაბ ექონია, ხოლო ნახევარდაცვის ცენტრში მანწკავა ყოჩაღობდა.

ბათუმელთა მეორე გოლი ჯელაძის კარგ თამაშს მოჰყვა, რომლის ჩაწოდებულზე იმავ ზირაქიშვილმა ერთი შეხებით, მოხდენილად გადაგზავნა ბურთი „თბილისის" კარში.

და სტუმართა მესამე გოლიც: პასი კვლავ მანწკავამ გაჭრა, თბილისელებს თამაშგარე ეგონათ, მაგრამ თანამსაჯმა სხვაგვარად განსაჯა, ზირაქიშვილი მეკარეს გასცდა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

მასპინძლებს ყურები არ ჩამოუყრიათ, ფიცხლად იბრძოდნენ, რაც იმით დაუფასდათ, რომ ნიკა კვასხვაძემ ერთი გოლი თავურით გაქვითა.

ავდარში მატჩზე მოსულ ორასამდე მაყურებელს არც მეორე ტაიმში მოუწყენია დიდად, მიუხედავად იმისა, რომ გოლი აღარ გასულა.

შესვენების შემდეგ „თბილისი" უფრო მონდომებით ათამაშდა და ორი სახიფათო მომენტიც შექმნა: ირაკლი ლილუაშვილს და მიხეილ თოფურიას თავურები გაუცუდდათ.

თბილისელთა მონდომებას გამოცდილება და ხარისხი აკლდა და მეტოქესაც ბევრი ვეღარაფერი დააკლეს. მეორე ტაიმის შუიდან მწვავე მომენტებს უკვე „ბათუმი" ქმნიდა — ზირაქიშვილმა რეიდი მახვილი კუთხიდან არაზუსტი დარტყმით დაასრულა, ჯელაძის ჯარიმა თევდორაძემ მოიგერია, ხოლო ბეგლარ თედორაძემ ძელს შეაწყვიტა ბურთი.

ერთხელაც ვიტყვით, რომ „თბილისი" ძალიან ახალგაზრდული გუნდია და ამ კონტინგენტით პირველ ლიგაში გასავარდნადაა განწირული. ფეხბურთშიც ასეა — არის ძალიან ბევრი რამ, რაც მხოლოდ ასაკთან ერთად მოდის.

თბილისი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი. 200 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 1:3 ბათუმი

0:1, 0:2, 0:3 ზირაქიშვილი (1, 22, 40), 1:3 კვასხვაძე (44)

**თბილისი:** თევდორაძე, ბერიძე, ბოჭორიძე, კვასხვაძე (ბურჭაშვილი 70), ი. ვაშაკიძე, ხოხონიშვილი, გ. იაშვილი (რევაზ ბარაბაძე 58), გოგოხია, გ. კვარაცხელია, თოფურია, მამნიაშვილი (ლილუაშვილი 30). სათადარიგონი: ხრახამია; ფირანიშვილი, დარასელია. **მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**ბათუმი:** თოთლაძე, ი. მახარაძე, სიდამონიძე, გუშარაშვილი, ბეგლარ თედორაძე, გ. მანწკავა, ექონია, გ. ჯელაძე, გოგიშვილი, ზირაქიშვილი, მიქაძე (ცანავა 65). სათადარიგონი: ი. ბალაძე, გალოგრე, ბესიკ თედორაძე, დიდია, ნაჭყებია, ფარტენაძე. **მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** ა. მილჩენკო



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბათუმელმა ზაზა ზირაქიშვილმა თბილისელებს პირველივე ტაიმში მოუმთავრა საქმე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 11 | 9 | 1 | 1 | 26:7 | 28 |
| სიონი | 11 | 8 | 1 | 2 | 22:10 | 25 |
| ბორჯომი | 11 | 8 | 0 | 3 | 23:9 | 24 |
| ლოკომოტივი | 11 | 7 | 3 | 1 | 15:3 | 24 |
| დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 16:6 | 22 |
| ამერი | 11 | 7 | 1 | 3 | 12:7 | 22 |
| ბათუმი | 11 | 6 | 1 | 4 | 10:7 | 19 |
| ზესტაფონი | 11 | 5 | 2 | 4 | 8:9 | 17 |
| დილა | 11 | 5 | 0 | 6 | 15:12 | 15 |
| კოლხეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 11:12 | 15 |
| კახეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 12:16 | 15 |
| ცხინვალი | 11 | 3 | 1 | 7 | 7:18 | 10 |
| ტორპედო | 11 | 2 | 3 | 6 | 6:11 | 9 |
| სოხუმი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:27 | 7 |
| სპარტაკი | 11 | 1 | 1 | 9 | 2:19 | 4 |
| თბილისი | 11 | 0 | 0 | 11 | 3:23 | 0 |

# თქვენი ინტერვიუ

# ნოდარ ახალკაცთან

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება.*

*კითხვები 8 ნოემბრამდე მოგვაწოდეთ და პრეზიდენტთან თქვენს ინტერვიუს არაუგვიანეს 11 ნოემბრამდე გამოვაქვეყნებთ. ერთი სიტყვით, იაქტიურეთ.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14. ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# კახა ლომაია: მთავარია ბალანსი!

## რა უნდოდა განათლების მინისტრს რუსეთის ყოფილ ბაზაზე

*— ...ისე, ბატონო კახა, მთელ განათლების სისტემაში რეფორმა ჩაატარეთ და ერთი, ფეხბურთი რა გახდა... არაფერი გაქვთ გეგმაში?*

*წარმატებულ რეფორმატორს თავიდანვე საფეხბურთო რეფორმის შესაძლებლობაზე ვკითხეთ.*

— განათლების სამინისტროს სპორტული თვალსაზრისით რაც ხელეწიფება, ისაა, რომ ამ დღეებში წარვადგენთ პროგრამას, რომელიც საქართველოს ყველა რაიონის სკოლებში ღია ტიპის მოედნების აღდგენას ითვალისწინებს. ეს პროექტი სამწლიანი იქნება და ამ ხნის განმავლობაში რაიონის სკოლებს კეთილმოწყობილი მოედნები ექნებათ — ფეხბურთის კარებით, ფრენბურთის ბადითა და კალათბურთის ფარებით. გვსურს და აუცილებელია, რომ ახალგაზრდობას ჯანსაღი ცხოვრების წესი ჰქონდეს და ეს პროგრამაც ზოგადად განათლების სისტემის ორგანული ნაწილი იქნება.

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან განათლების სამინისტროს აქვს რამე საქმიანი ურთიერთობა?**

— საქმიანი ურთიერთობა არა, თუმცა ნოდარ ახალკაცთან სკოლებს შორის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე კი გვისაუბრია. ყველა დასავლურ სასწავლებელში სპორტულ აქტივობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოწაფეებს რომ პატრიოტიზმისა და სიამაყის გრძნობა განუვითარდეთ, საამისოდ სპორტი აუცილებელია. ვნახოთ, რა გამოგვივა.

**— ბატონო კახა, როგორც ქომაგი და არა მინისტრი, ქართული ფეხბურთის სადღეისო ვითარებას როგორ შეაფასებდით?**

— ამ ბოლო დროს ორი უკიდურესი აზრია: ერთი რომ, ეროვნული ნაკრების ინტერესი გვერდზე გადავდოთ და მთლიანად ბავშვთა ფეხბურთს მივხედოთ; მეორე, ეროვნულ ნაკრებს მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ, რაც თავისთავად ფეხბურთისადმი ინტერესს გაზრდის. ვფიქრობ, ორივე შეხედულება სწორია, თუმც მთავარი ბალანსია. დაუშვებელია, დავივიწყოთ ნაკრები და მხოლოდ ბავშვებს მივხედოთ, მეორეს მხრივ, არც მთლიანად ეროვნულ გუნდზე გადართვა ივარგებს. როცა ზოგადად სპორტისადმი სახელმწიფოს ყურადღებაზე ჩამოვარდება ხოლმე სიტყვა, ყველა ფინანსურ დახმარებაზე ლაპარაკობს. მიმაჩნია, რომ სახელმწიფო სპორტში ინვესტორი დიდხანს ვერ იქნება, მთავარია, სპორტსა და სპორტსმენებს წარმატებებისთვის შესაფერისი გარემო ჰქონდეთ. დღევანდელი ხელისუფლება კი სპორტის როლს საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში სათანადოდ აცნობიერებს. რაც შეეხება წმინდა საფეხბურთო საკითხებს, ვფიქრობ,

**განათლების მინისტრ კახა ლომაიას ყველა იცნობს, მის რეფორმებსაც და საერთოდ, როცა ამ კაცის შესახებ ჩამოვარდება სიტყვა, ან ძალიან იცავენ, ანაც ძალიან უტევენ. ეს ნიშნავს, რომ ლომაია მოქმედების კაცია და ძნელია, მოქმედების კაცს სპორტი არ უყვარდეს. ამ ვარაუდში კი მართლები გამოვდექით, განათლების მინისტრი ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი და თანაც „სარბიელის" ერთგული მკითხველი გამოდგა...**



მია ჯაველიძის ფოტო

შეცდომა იყო, როცა თავის დროზე ნაკრების მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი გაათავისუფლეს. შეცდომა იყო ალენ ჟირესის დროზე ადრე გაშვება და ახლა გაიოზ დარსაძის მოხსნაც შეცდომა იქნება. საზოგადოებას არასდროს უნდა დარჩეს გრძნობა, კაცს თავის გამოჩენის შანსი არ მისცესო. ყველას უნდა ჰქონდეს დროის ლიმიტი. აბა, გაიხსენეთ ბოსკამპის მწვრთნელობის პერიოდი და საბერძნეთთან შინ 1:2 წაგებული მატჩი. მაშინ საქართველოს ნაკრები მართლაც კარგ ფეხბურთს თამაშობდა და ბოსკამპის გაშვების შემდეგ თითქმის ყველას სინანულის გრძნობა დაგვრჩა. იგივეს ვიტყოდი ალენ ჟირესის გუნდზეც — დამეთანხმებით, საქართველოს ნაკრებმა თბილისში დანიასთანაც ჩინებულად ითამაშა და ევროპის ჩემპიონ ბერძნებთანაც 40 წუთი. მერე რა, რომ საბერძნეთთანაც წავაგეთ და თურქეთთანაც... დიახ, კარგად მესმის, რომ მთავარი ტაბლოა, მაგრამ... მოდით, ჯერ დავრწმუნდეთ, რომ მწვრთნელმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

**— კეთილი. საქართველოს ნაკრებში ახლა გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს. ამ ფაქტს როგორ შეაფასებთ, თქვენი აზრით ეროვნულ გუნდში 17-18 წლის ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ?**

— კარგად მახსოვს, რომ სწორედ „სარბიელი" წერდა, „ვიტ ჯორჯიას" ფორვარდი ოთარ მარცვალაძე ნაკრებში თამაშს იმსახურებსო...

— დიახ, ვწერდით და ვფიქრობთ, რომ ის ახალგაზრდულ ნაკრებს გამოადგებოდა...

— თქვენს კითხვაზე უნივერსალური პასუხი არ არსებობს. იდეალური ვარიანტია, როცა ნაკრებში გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ბალანსი იქმნება, ანუ გამოუცდელები გამოცდილებისგან ისწავლიან, გამოცდილები კი გამოუცდელთათვის სამაგალითონი იქნებიან. წმინდა მენეჯმენტის თვალსაზრისით, მთავარია, რომ ყველაფერი დაბალანსებული იყოს. საქართველოს ნაკრები ბოლო ათი წელიწადი თითქმის ერთიდაიგივე შემადგენლობით თამაშობდა, მაგრამ შედეგი?! წარუმატებლობას პერსონალურად არავის ვაბრალებ, თუმცა ფაქტია, რომ ნაკრების შედეგი, 1994 წლიდან მოყოლებული, უარესდება და უარესდება. ვფიქრობ, სწორი ნაბიჯია ნაკრებში ახალგაზრდების დაწინაურება, მაგრამ მათ არარეალური მიზნები არ უნდა დაუსახო.

**— ბატონო კახა, სამთავრობო სხდომებზე შეხვედრებისას, როგორც ჩვენში იციან ხოლმე, მინისტრები საფეხბურთო ამბებს არ არჩევთ?**

— როგორ არ ვარჩევთ. მაგალითად, გოკა გაბაშვილი არგენტინის ქომაგია, მე — ბრაზილიის. დანარჩენი კი თავად წარმოიდგინეთ, ჩვენ დაუძინებელი... მეგობრები ვართ. ფეხბურთის დიდი მოყვარულია მიხეილ სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, გოგა ხაინდრავა, რომელიც ადრე ფეხბურთს თავადაც თამაშობდა.

**— პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი, მინისტრები... ყველანი ფეხბურთის ქომაგები ყოფილხართ და არ შეიძლება, ფეხბურთის განვითარების ხელშემწყობი კანონი მიიღოთ?**

— მიმაჩნია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ სპორტისთვის გააკეთა იმაზე მეტი, ვიდრე ბოლო ათ წელიწადში გაკეთებულა ერთად აღებული. თუმც პირადად კახა ლომაია სპორტის განვითარებით პროფესიულ დონეზე არ დაინტერესებულა, ეს სპორტის სამინისტროს საქმეა...

**— ბრაზილიის ქომაგი ყოფილხართ და, მოგწონთ მათი ამჟამინდელი ნაკრები?**

— იმდენად მომწონს, რომ მეშინია კიდეც. ასეთი ძლიერი ნაკრები ბრაზილიას დიდი ხანია, არ ჰყოლია. ვშიშობ კი იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ დიდი დროა და ახლა რომ ასეთ ფორმაში არიან, ჩემპიონატისთვის თამაშს არ მოუკლონ. ასე ვთქვათ, ფორმის პიკი ახლა არ ჰქონდეთ. არგენტინა კი პირიქით, ახლა არცთუ კარგ ფორმაშია და გოკა გაბაშვილს ეიმედება, რომ მისი გუნდი სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის იქნება მომზადების პიკზე.

**— რაკი ასეა, ფეხბურთის ქომაგებში ტრადიციული კითხვაც: პელე თუ მარადონა?**

— მარადონა მაგალითია იმისა, რომ ადამიანს ბუნებამ ყველაფერი საფეხბურთო მისცა. თუმც მარადონა უპასუხისმგებლობის მაგალითიცაა. ახლა ამბობენ, მარადონა ფსიქოლოგიურად გაწონასწორდაო და თუ მართლაც ასეა, ეს სასიამოვნოა. მას ფეხბურთის განვითარებისთვის ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია. პელემ კი ეს უკვე გააკეთა და ამიტომაცაა ჩემთვის დიდი. მან ფეხბურთით „დაავადა" მილიონობით ადამიანი და ახლა რომ აფრიკაში ფეხბურთია, პელეს დიდი დამსახურებაა. იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან საქართველოში ან ერთი გვესტუმრება, ან მეორე. მათი ჩვენთან ვიზიტი ჩვენი ეროვნული იდეალების პროპაგანდაც იქნება. ქართველებს ხომ ფეხბურთი სამხრეთამერიკელებზე არანაკლებ გვიყვარს.

**— ფეხბურთზე ბოლოს როდის იყავით?**

— ყოველთვის დავდივარ, ბოლოს ყაზახეთთან მატჩზე გახლდით.

**— კლუბებიდან რომელს ქომაგობთ?**

— ფავორიტი კლუბი არ მყავს, თუმც სადაც ქართველები და ბრაზილიელები თამაშობენ, ყველას ვქომაგობ. ვქომაგობ „რეალსაც" და „ბარსელონასაც", რადგანაც ორივე გუნდში არიან ბრაზილიელები. კიდევ, ვქომაგობ ნებისმიერ გუნდს, რომელიც რუსების წინააღმდეგ თამაშობს.

**— საქართველო — რუსეთის მატჩს ესწრებოდით?**

— 2003 წლის 30 აპრილს? როგორ არა! თუმც იქამდე, „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" უეფას თასის მატჩი და გოჩა ჯამარაულის დიდებული გოლი იყო. რა დამავიწყებს იმ დღეებს, როცა „დინამომ" „ტორპედოს" მოსკოვში მოუგო და მერე თბილისში მომდევნო ეტაპზე თამაში გაინაღდა. გოჩა ჯამარაული ჩემთვის ამიტომაცაა ძვირფასი ფეხბურთელი. რა დამავიწყებს რუსეთ — საქართველოს მოსკოვურ მატჩს და კომენტატორ უტკინის გამწარებულ ხმას, როცა ჩვენები იგებდნენ და ის გაჰკიოდა... საქართველო — რუსეთის თბილისური მატჩი კი სრულიად შეუდარებელი რამ არის, ივო უუმაკი და მალხაზ ასათიანი... ყველაფერი ბრწყინვალედ იყო... რუსეთზე მაშინდელ გამარჯვებაზე აღმატებული მხოლოდ ის არის, რომ ხვალ, დღეს რუსებს საქართველოდან სამხედრო ბაზები გაჰყავთ. გონიოში ჩემი ფეხით ჩავედი და რუსებისგან დაცარიელებული ბაზის ფონზე სამახსოვრო ფოტოც კი გადავიღე. ისე კი, რუსი ხალხის საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს.

**— გმადლობთ, გემშვიდობებით მომავალი წარმატებების იმედად...**

— მადლობა „სარბიელს". კარგი იქნება, თუ ძველ რუბრიკებს აღადგენთ და მკითხველს თავისი აზრის გამოთქმის საშუალებას უფრო მეტად მისცემთ.

**ჰოჩა ინასარიძე**

# ქართველები უცხოეთში



შოთა არველაძეს გააქვს და გააქვს

*ამ უქმეებზე რამდენიმე გამოსარჩევი ქართული ამბავი მოხდა და ჩვენც უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ ამის თაობაზე...*

## შოთა გოლლანდიაში

**ჰოლანდიური** „ალკმაარის" ქართველი თავდამსხმელი ისევ გოლების იმტაზეა. 11 ბურთი 10 მატჩში — ასეთი შედეგი ბარე ორს საოცნებოდ თუ ექნება. არველაძე გუნდის უდავო ლიდერია და ამას ყოველ ტურში, ამტკიცებს. „ალკმაარმა" ამჯერად „დენ ჰაგს" 2:0 მოუგო და ჩვენებურმაც იყოჩაღა. ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირი კი მალე თბილისშიც ჩამოვა და მცირე პაუზის მერე საქართველოს ნაკრებს შეეშველება ბულგარეთთან და იორდანიასთან ამხანაგურ მატჩებში.

## მოდი, ვნახოთ მიშა

**მიხეილ საჯაია** არველაძესთან ვერც სახელით მოვა, ვერც პოპულარობით, ვერც კარიერით და ვერც... თუმცა ეს ამჯერად არცაა მნიშვნელოვანი, ჩვენ სხვა რამემ დაგვაინტერესა: გერმანული რეგიონალლიგის „ბაიროთში" მოთამაშე ქართველი ფორვარდი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს — 8 გოლი 11 მატჩში, ვფიქრობთ, ყურადსაღები შედეგია.

## პაჭელოს პადებიუტი

**ჩვენი** ვარაუდი გამართლდა — გიორგი ჭელიძემ „სატურნთან" მატჩში ბოლო თერთმეტი წუთი ითამაშა და ლოკომოტივური დებიუტიც ოფიციალურად გაიფორმა. „პაჭელო" საკმაოდ აქტიურად ჩაერთო თამაშში და ერთხელ გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ... საბოლოოდ, ფრე 1:1, რომელმაც რკინიგზელები მესამე ადგილზე ჩააქვეითა.

## რუბინის ქინქიბაში: რუსები მის ქებაში

**გიორგი ქინქლაძის** „რუბინმა" მცირე სასწაული მოახდინა და „ზენიტს" სანკტ პეტერბურგში 1:0 მოუგო. ამ სამი ქულით ყაზანელებმა „ზენიტი" ჩამოიტოვეს და უეფას თასის საგზურს „თვალებში შესციცინებენ".

ერთსაც დავამატებთ: ქინქლაძემ თავი საგოლე პასით გამოიჩინა და ერთი-ორჯერ ძველი ქინქი-ფინტებიც ანახა რუს ქომაგს.

## ორი წითელი ქართველი

**საინტერესო** რამ მოხდა ლატვიის ჩემპიონატში: აწ უკვე ჩემპიონი „მეტალურგსი" „სკონტოს" ესტუმრა და 1:1-ზე გაეყარა, თუმცა თამაში ისეთი მშვიდობიანი არ ყოფილა, როგორიც შედეგია — 54-ე წუთზე სტუმარი ლევან მიქაძე გააძევეს, ორ წუთში კი მასპინძელი ზურაბ მენთეშაშვილი.

## ხუთი დაბრუნება

**ამ უქმეებზე** ერთბაშად ხუთი ჩვენებური დაუბრუნდა მოედანს, ამათგან სამს ძალიან მძიმე ტრავმა ჰქონდა. კერძოდ: ერთ დროს საქართველოს ნაკრების მეკარე დავით ხმელიძე რამდენიმეთვიანი უქმობის შემდეგ ჩადგა კარში; თემურ ქეცბაია ერთი ხანობა კარიერის დასრულებაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ აქაც ყველაფერი მოგვარდა; ირაკლი მოდებაძე კი წლეულს სულაც პირველად გამოჩნდა.

შედარებით იოლად გამოჯანმრთელდნენ ლევან ცქიტიშვილი და ლაშა სალუქვაძე, რომლებიც საქართველოს ნაკრებში სათამაშოდაც არიან გამოძახებულნი.

**კახა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | იუვენტუსი 3:1 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰამბურგი 0:1 | 90 | | 11 | 0 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | დუისბურგი 0:1 | 90 | | 8 | 0 | 7 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 4:1 | 90 | საგოლე პასი | 11 | 1 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 4:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 5 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | ვატენშაიდი 1:0 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 1 | 5 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | ჰოფენჰაიმი 1:1 | 90 | 1 გოლი | 11 | 8 | 8 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ჩელსი 2:4 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 0 | 12 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | დენ ჰააგი 2:0 | 90 | 1 გოლი | 10 | 11 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | პსვ 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 0 | 13 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | გრაცერი 0:2 | 90 | | 15 | 5 | 6 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | სატურნი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 27 | 1 | 3 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | სატურნი 1:1 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 3 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | შ | სატურნი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | სატურნი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | ს | ცსკა 1:2 | 90 | | 13 | 1 | 14 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | ს | ცსკა 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 14 |
| ბექა ყლენტი | ტორპედო | შ | მოსკვა 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ანზორ კალაძე | ტორპედო | შ | მოსკვა 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | ტერეკი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 18 | 1 | 15 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | ტერეკი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 6 | 0 | 15 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | ტერეკი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 0 | 15 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | ტერეკი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 0 | 15 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | ტერეკი 2:1 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 15 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | ტერეკი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 7 | 0 | 15 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | ტერეკი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 10 | 2 | 15 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | ზენიტი 1:0 | 77 | საგ. პასი, გააფრთ., შეცვალეს | 8 | 2 | 4 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ზენიტი 1:0 | 70 | შეცვალეს | 21 | 0 | 4 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | ზენიტი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | სპარტაკი 2:2 | 90 | | 13 | 0 | 5 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | შ | სპარტაკი 2:2 | 0 | | 6 | 0 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | დინამო 3:1 | 0 | | 16 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | ლოკომოტივი 0:2 | 90 | | 31 | 1 | 10 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | ორიოლი 0:0 | 0 | | 11 | 0 | 11 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ავანგარდი 0:2 | 77 | შეცვალეს | 32 | 5 | 18 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | სოკოლი 1:1 | 90 | | 34 | 2 | 15 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | შ | სკა-ენერგია 0:1 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 0 | 8 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | მ. დონეცკი 0:0 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | მ. დონეცკი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | ზაკარპატიე 4:1 | 90 | | 13 | 6 | 5 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | ილიჩევეცი 0:3 | 90 | | 13 | 1 | 13 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | ვოლინი 0:3 | 90 | | 12 | 3 | 14 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | შახტარი 0:1 | 90 | | 6 | 0 | 3 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | შ | ტავრია 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ლარისა 1:0 | 65 | შეცვალეს | 7 | 0 | 1 |
| ამირან მუჯირი | კალითეა | შ | აკრატიტოსი 2:0 | 90 | | 7 | 0 | 16 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | პარალიმნი 1:0 | 67 | შეცვალეს | 4 | 2 | 5 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | ს | პარალიმნი 1:0 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 5 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | პარალიმნი 1:0 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 5 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | აპოელი 0:1 | 0 | | 6 | 2 | 8 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 0 | | 14 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 56 | 1 გოლი, გააძევეს | 20 | 3 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 90 | | 23 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 0 | | 8 | 2 | 2 |
| დავით გამეზარდაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 0 | | 1 | 0 | 2 |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | ს | სკონტო 1:1 | 54 | გააძევეს | 24 | 2 | 1 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | ოლიმპი 1:0 | 90 | | 21 | 3 | 3 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | ს | ჟენისი 0:3 | 63 | შეცვალეს | 21 | 5 | 13 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | აქტობე 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 16 | 0 | 12 |
| დავით ჭიჭველიშვილი | ატირაუ | ს | ირტიში 0:1 | 90 | | 10 | 0 | 8 |
| ლევან სანიკიძე | ტობოლი | შ | ბოლატი 5:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 2 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# რინო, ლივერპულით დაკომპლექსებული მხეცი

*სერია A-ს ბოლო ტურზე მოგახსენებთ: „მილანს“ „იუვენტუსის“ შუაგულის, მეტადრე კი პატრიკ ვიეირას დასაძლევად არც მეტი-არც ნაკლები პიტბული, მგელი ან რაიმე ამდაგვარი მხეცი სჭირდებოდა და... ერთი სიტყვით, ამ უქმეების საუკეთესო ფეხბურთელად ჯენარო გატუზოს დასახელება ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეიძლება*

**რა უნდა** მომხდარიყო მილანელებს ტურინელებთან მომგებიანი ფეხბურთი რომ გაეჩაღებინათ? რა და მათ შემოქმედ მოთამაშეებს კაკას, კლარენს ზეედორფსა და ანდრეა პირლოს ბურთი ფეხთ უნდა ჰქონოდათ, ამისათვის კი ამ ბურთის მეტოქისთვის გამობდღვნა იყო საჭირო. სწორედ ეს უზრუნველჰყო გატუზომ — მან იომა.

გადაჭედილმა „სან სიროს“ თავისი გმირისგან იმ დღეს თავგანწირვა იხილა. ეს იყო ნამდვილი ჟინი, რომელიც ისე დიდი გახლდათ, რომ ხანგამოშვებით ფეხბურთელებს შორის გაწევ-გამოწევასაც კი იწვევდა.

როგორც იტალიელი მიმომხილველები წერდნენ, გატუზოს ასეთი სიგიჟე მხოლოდ გუნდისთვის კი არა, პირადად მისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ „პერუჯას“, „სალერნიტანას“ და „გლაზგო რეინჯერსის“ ყოფილმა მოთამაშემ სეზონის დასაწყისში კარლო ანჩელოტიზე როგორც ჩანს მაინცა და მაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ დატოვა და იყო მატჩები, როდესაც მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში მის დაყენებას მასიმო ამბროზინის დაყენება ამჯობინა.

კიდევ, საგანგებო ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ როგორც საკუთრივ რინოსთვის, ასევე მთლიანად „მილანისთვის“ ეს გამარჯვება გასული მაისის ფიასკოს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ლივერპულთან“ მწარე დამარცხების დაძლევისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი. და ნუ იფიქრებთ, რომ ამ, თითქოსდა უკვე ძველი ამბის გახსენება ჟურნალისტების ხრიკები იყოს და მეტი არაფერი — გატუზო ლამის ყველა ინტერვიუში ბავშვივით ერთსა და იმავეს იმეორებს: სტამბოლი ვერა და ვერ მოუნელებია.


ჯენარო გატუზო

„ტურინელებთან პირველი ტაიმი 3:0 რომ დამთავრდა შევშინდი, ვიფიქრე ეს მატჩიც ჩემპიონთა ლიგის ფინალის მსგავსად დასრულდება, მეთქი. შესვენებისას გასახდელ ოთახში ბიჭებმა ერთმანეთს თვალებში, რომ შევხედეთ, მივხვდით, ყველანი ერთსა და იმავეს ვფიქრობდით — ის, რაც წარსულში მოხდა, აღარასოდეს უნდა განმეორდეს.“

რაც შეეხება მეათე ტურის საუკეთესო გოლს, ასეთად ფლორენციელი ლუკა ტონის მიერ „კალიარის“ კარში დამიზნებით დარტყმული აღიარეს. საერთოდ, ამ სეზონში ტონი ისე თამაშობს, რომ შეუძლია თავისი საუ[illegible] გოლების ცალკე კონკურსი გამოაცხადოს. ათ თამაშში [illegible] გოლი ნამდვილად [illegible] შედეგი.

„კალიარის“ კარში კი ტონის სტეფანო ფიორემ გაატანინა — მან ჩაკიდა ბურთი, რომელსაც „იების“ ბომბარდირმა მოხდენილად დაჰკრა. თუ ასე გაგრძელდება, სრულიად შესაძლებელია ლუკა ტონი გახდეს სერია A-ს ის ბომბარდირი, რომელიც სეზონში 30 გოლს გადააჭარბებს. ბოლოს ასეთი შედეგი 1958-59 წლების სეზონში ანტონიო ვალენტინ ანჯელილოს ჰქონდა.

და მეათე ტურის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი: „სიენასთან“ შეხვედრაში 532 დღიანი უქმობის შემდეგ მოედანზე გამოჩნდა „რომას“ ქომაგთა საყვარელი ფეხბურთელი, ვეტერანი დამიანო ტომაზი, რასაც „სტადიო ოლიმპიკო“ ოვაციით შეხვდა. როდესაც იგი 69-ე წუთზე მოედანზე შევიდა, სტატისტიკოსებმა დავთრები გადაქექეს და ნახეს, რომ ბოლოს ბურთი 2003-04 წლების სეზონში, გენუაში, სამპდორიასთან შეხვედრაში გაეგორებინა.

**პაპუნა ძედია**


ჟოზე მაურინიუ


არსენ ვენგერი

# ჟოზე არსენს უთვალთვალებს, ჯიმი რომანს

## ჟოზე მაურინიუმ არსენ ვენგერს „ავადმყოფი“ უწოდა

**„ჩელსის“** ბოსის აზრით „არსენალის“ ბოსი სრულიად არაჯანსაღი დამოკიდებულებას და თვალთვალის მანიას ავლენს „ჩელსის“ მიმართ.

მაურინიუს აზრით, ეს იმის ბრალია, რომ მეთოფენი 15 ქულით ჩამორჩებიან მის გუნდს და გამწარებული ვენგერი თავის კონტროლს ველარ უწევს.

„ვენგერს ნამდვილი პრობლემა აქვს ჩვენთან დაკავშირებით“ — თქვა ჟოზემ — ეს ის არის რასაც თქვენ ინგლისში თვალთვალის მანიას ეძახით. როცა კაცი მალვით უთვალთვალებს სხვა ადამიანებს, ვთქვათ, სახლიდან ტელესკოპით მეზობლების ფანჯრებში იჭყიტება; რათა გაიგოს იქ რა ხდება. ეს ავადმყოფობაა და რახან ავადმყოფობაა, არ ვიცი, რა ელის ვენგერს მომავალში. ასეთ მოთვალთვალეებს სათვალთვალონი უყვარდებათ და მეც, ვფიქრობ, რომ ვენგერი ჩვენშია შეყვარებული. მას უყვარს „ჩელსი“.

მაურინიუს ეს განცხადება პასუხია ვენგერის ნათქვამზე, „ჩელსის“ ჩავარდნა ეწყებაო. გასულ კვირას „ჩელსიმ“ „ევერტონს“ ვერ მოუგო, მერე კი ლიგის თასიდანაც გავარდა „ჩარლტონთან“ მატჩისშემდგომი პენალტების წაგების გამო. ჰოდა, ვენგერმაც ასეთი კომენტარი გააკეთა.

მაურინიუ კი თანდათან შაყირს მოჰყვა: „დიახ, შეყვარებულია, მგონი ჩვენთან გადმოსვლა უნდა, ჩემს ადგილზე“.

ამასობაში კი „ჩელსი“ სკანდალში ეხვევა.

სულ ახლახან გამოვიდა აწ მიდლსბროელის, ადრე „ჩელსის“ მთავარმეგოლის ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის ახალი წიგნი. მასში წერია, რომ 2003-2004 წლების სეზონში, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლისთვის თითოეულმა „ჩელსელმა“ 100-100 ათასი გირვანქა მიიღო, ოღონდაც, საბუთებში მხოლოდ 50-50 ათასი გაფორმდა.

პრემიერლიგაში სეზონური პრემიები განსაზღვრულია და მათი მომატება მხოლოდ ახალ სეზონში შეიძლება. „ჩელსიმ“ თავის ოფიციალურ განცხადებაში ჯიმის ნაამბობი უარყო და ისიც განმარტა, რომ ამ პრემიებზე ადრევე ესაუბრა პრემიერლიგის უფროსობას, ყველაფერი გაარკვეულია და გამოსაძიებელი არაფერიაო.

ჯიმის კი ასე უწერია: „სეზონის დასაწყისში აბრამოვიჩმა გვითხრა, რომ თუ ნახევარფინალში გავიდოდით, 50 ათასს მივიღებდით. სეზონის ბოლოს ჩვენს ანგარიშებზე 100 ათასები იყო“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფერგი 1:4-ის შემდეგ



**შაბათს** მიდლსბროში განადგურებულმა ალექს ფერგიუსონმა დამატებითი ვარჯიში დაუნიშნა „მანჩესტერ იუნაიტედს“ და გამოუცხადა: „ორი თამაშილა გვაქვს, რათა ეს სეზონი გადავარჩინოთ“.

ამ კვირაში „მანჩესტერი“ „ლილს“ ხვდება ჩემპიონთა ლიგაში, და პრემიერლიგაში „ჩელსის“ მასპინძლობს.

„ესე როგორც შაბათს ვითამაშეთ, ვერაფერს მოიგებ“ — თქვა ფერგიმ — მაგრამ ჩვენ პასუხიმგებლობას ვგრძნობთ და ეს საუკეთესოა, რაც ჩვენს გუნდს აქვს“.

ფერგიუსონს ჰგონია, რომ „ლილთან“ გუნდი დაცვაში იმ შეცდომებს აღარ დაუშვებს, ბოროში რომ თამაში წააგებინა, ხოლო მეტოქე უფრო არხეინი იქნება, რახან „მანჩესტერი“ ფორმიდან ამოვარდნილი ჰგონია.

მთავარის გამო კი სერ ალექსმა თქვა: „უამრავი ხალხი ელის, რომ ჩვენ „ჩელსის“ დავამარცხებთ. ჩვენი შესაძლებლობებით ეს მოსახდენი ამბავია“.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ნორვეგია

### ტიპელიგა

### XXVI ტური

ჰამ კამი — ბრანი 1:1; სტარტი — ფრედრიკსტადი 1:3; ლინი — ბოდიო გლიმტი 6:0; ვიკინგი — ალესუნდი 3:0; რუსენბორგი — ტრომსიო 1:1; ოდ გრენლანდი — ვოლერენგა 2:2; ლილესტრიომი — მოლდე 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლერენგა | 26 | 13 | 7 | 6 | 40:27 | 46 |
| სტარტი | 26 | 13 | 6 | 7 | 47:35 | 45 |
| ლინი | 26 | 12 | 8 | 6 | 37:21 | 44 |
| ლილესტრიომი | 26 | 12 | 6 | 8 | 37:31 | 42 |
| ვიკინგი | 26 | 12 | 5 | 9 | 37:32 | 41 |
| ბრანი | 26 | 10 | 7 | 9 | 43:32 | 37 |
| რუსენბორგი | 26 | 10 | 4 | 12 | 50:42 | 34 |
| ტრომსიო | 26 | 8 | 10 | 8 | 30:30 | 34 |
| ოდ გრენლანდი | 26 | 9 | 6 | 11 | 28:51 | 33 |
| ჰამ კამი | 26 | 8 | 7 | 11 | 31:37 | 31 |
| ფრედრიკსტადი | 26 | 8 | 7 | 11 | 35:44 | 31 |
| მოლდე | 26 | 8 | 6 | 12 | 40:46 | 30 |
| ალესუნდი | 26 | 6 | 9 | 11 | 30:42 | 27 |
| ბოდიო გლიმტი | 26 | 6 | 6 | 14 | 29:44 | 24 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XIII ტური

გრასჰოპერი — იანგ ბოისი 1:1; თუნი — ციურიხი 1:6; ბაზელი — ივერდონი 3:1; სენტ გალენი — შაფჰაუზენი 0:0; ქსამაქსი — აარაუ 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 13 | 9 | 3 | 1 | 35:18 | 30 |
| გრასჰოპერი | 13 | 7 | 3 | 3 | 23:15 | 24 |
| ციურიხი | 13 | 7 | 2 | 4 | 33:19 | 23 |
| იანგ ბოისი | 13 | 5 | 5 | 3 | 19:15 | 20 |
| თუნი | 13 | 6 | 2 | 5 | 24:24 | 20 |
| სენტ გალენი | 13 | 5 | 3 | 5 | 21:23 | 18 |
| აარაუ | 13 | 4 | 3 | 6 | 12:21 | 15 |
| ივერდონი | 13 | 3 | 2 | 8 | 16:24 | 11 |
| ქსამაქსი | 13 | 3 | 1 | 9 | 14:25 | 10 |
| შაფჰაუზენი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:21 | 10 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი IV ტური. დღეს

## E ჯგუფი

### პსვ ეინდჰოვენი — მილანი

ეინდჰოვენი. „ფილიპსი“. მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

| | |
|---|---|
| გომესი, ოიერი, რაიციგერი, აფელაი, ალექსი, ლემეი, სიმონსი, კოკუ, ბისლი, რობერტი, ფარფანი | დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო, შევჩენკო (ან ინძაგი) |

### შალკე — ფენერბაჰჩე

გელზენკირხენი. „აუფშალკე“. მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო(ესპანეთი)

| | |
|---|---|
| როსტი, რაფინია, როდრიგესი, ბორდონი, კრსტაიჩი, პოულსენი, ჰამიტ ალტინტოპი, კობიაშვილი, ლინკოლნი, სანდი, ლარსენი | დემილერი, ტურაჩი, უმითი, ბალჩი, ლუსიანო, საჰინი, მ. აურელიო, ნობრე, თუნჯაი, აპია, ანელკა |

AFP ეინდჰოვენიდან



გუს ჰიდინკის „პსვ ეინდჰოვენს“ „მილანის“ არ ეშინია

## შევჩენკოს მძიმე იტყვის

**ექვსი თვის წინ** იყო პსვ-მ „მილანი“ ეინდჰოვენში 3:1 რომ დაამარცხა. გუს ჰიდინკის გუნდს მიჯრით 13 საშინაო ევრო მატჩიდან 10 მოუგია და ამ მხრივ იტალიელებსაც ჩაგრავს, რომელთა ოთხი ბოლო სტუმრობაც „ფილიპსზე“ მარცხით დასრულდა.

პსვ-მ გასულ უქმეებზე „ტვენტეს“ 1:0 სძლია და კვლავ პირველ ადგილზეა. გოლი იბრაჰიმ აფელაიმ გაიტანა. „ძალიან გაგვიჭირდა, რადგან ერთიმეორის მიყოლებით „ალკმაარს“ „მილანსა“ და „აიაქსს“ ვეთამაშეთ — თქვა ჰიდინკმა „ტვენტესთან“ მოგების შემდეგ — მაგრამ სამი ქულის ასაღებად ძალა მაინც გამოვნახეთ.

„მილანი“ კი გალაღებულია, რადგან ჩემპიონატში „იუვენტუსის“ უძლეველი სვლა შეაჩერა. ზეედორფის, კაკასა და პირლოს გოლებს ტრეზეგემ ერთით უპასუხა.

ანდრეი შევჩენკო გუნდს ჰოლანდიაში წაჰყვა, მაგრამ ექიმი იქ გადაწყვეტს, შეძლებს თუ არა თამაშს უკრაინელი. მან „ბებერ ქალბატონთან“ მატჩი გამოტოვა.

„ვნახოთ, როგორ ფორმაში იქნება — თქვა ანჩელოტიმ — შევჩენკოს გარდა ინძაგიც მსუბუქ ტრავმას უჩივის, მაგრამ არა მგონია, რომ პსვ-სთან ის შემადგენლობა საგრძნობლად შევცვალო, რომელმაც „იუვენტუსთან“ ითამაშა. პსვ გამართული გუნდია, მაგრამ ჩვენ ჩვენსას შევეცდებით და ისევე ვიბრძოლებთ, როგორ გასულ უქმეებზე „იუვენტუსთან“. ძალიან ჩახლართულ ჯგუფში ვართ, ამიტომ შესაძლოა, ერთმა მოგებამ ბევრი რამ გადაწყვიტოს“.

„შალკეს“ მწვრთნელ რალფ რანგნიკს კი უკან დასახევი გზა აღარ აქვს. ჩემპიონთა ლიგაში ჯერ მატჩი არ მოუგია, გერმანიის თასზე „აინტრახტთან“ 0:6 წააგო, ბუნდესლიგის გასულ ტურში „ჰამბურგთან“ 0:1 დამარცხდა, „ბაიერნს“ ათი ქულით ჩამორჩება და ეს ყველაფერი კლუბის შეფ რუდი ასაუერს ყელში ამოუვიდა.

„შალკემ“ დღეს „ფენერბაჰჩესთან“ თუ ვერ მოიგო, მერვედფინალში გასვლის შანსს გაიუარესებს, ან დაკარგავს. ამიტომ „ხუმარებს“ სამი ქულის აღება მართებთ. აქვე ისიც ვქთვათ, რომ „შალკეს“ ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ორი მატჩი აქვს მოგებული და აქედან ერთი — შინ. კრისტიან პოულსენი, ლევან კობიაშვილი და რაფინია „ჰამბურგთან“ შეხვედრაში დაშავდნენ, და „ფენერთან“ კაცმა არ იცის ითამაშებენ თუ ვერა.

თურქთა გუნდი ჩემპიონატში ლიდერობს. გასულ უქმეებზე სტამბოლელებმა „გაზიანთეფსფორს“ ბოლო წუთზე გატანილი პენალტით მოუგეს. „ფენერის“ მწვრთნელ კრისტოფ დაუმს ეიმედება, რომ წნეხის ქვეშ მყოფი „შალკეს“ მდგომარეობას სათავისოდ გამოიყენებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| პსვ | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| შალკე | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |

## F ჯგუფი

### რუსენბორგი — რეალი

ტრონჰეიმი. „ლერკენდალი“. მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

| | |
|---|---|
| იონსენი, კვარმე, რისეტი, ბასმა, დორსინი, სტრანდი, სკიელბერდი, სოლი, ბრაატენი, ჰელსტადი, სტორფლორი | კასილიასი, ელგერა, მ. სალგადო, რ. კარლოსი, სერხიო, ვუდგეიტი, დიოგო, ბექემი, რობინიო, გუტი, რაული |

### ოლიმპიაკოსი — ლიონი

პირეოსი. „გეორგიოს კარაისკაკისი“. მსაჯი: პიტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

| | |
|---|---|
| ნიკოპოლიდისი, ანატოლაკისი, კაპსისი, კოსტულასი, ტურე, სლტოლტიდისი, კონსტანტინუ, კაფესი, ოკასი, ბულუტი, ჯორჯევიჩი | კუპე, რევეილერი, კასაპა, კრისი, აბიდალი, დიარა, ტიაგუ, ჟუნინიო, გოვუ, მალუდა, ფრედი |

## ჩრდილოეთი ნაცნობ გალაქტიკას ელის

**„ლერკენდალის“** არენაზე „რუსენბორგის“ დამარცხება ვანდერლეი ლუშემბურგოს მადრიდის „რეალისთვის“ პრაქტიკულად 2005-06-ის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლას ნიშნავს. დღეს გალაქტიკოსები ომს თავიანთ ძველ მეტოქესთან გადაიხდიან. „რუსენბორგმა“ სამეფო გუნდთან შერკინებამდე შინაური ჩემპიონატის პერიპეტიები უკვე მოამთავრა. ვიკინგები სამხრეთელებს ნორვეგიელთა ცხრილის მეშვიდეადგილოსნებად შეეგებებიან.

ტრონჰეიმი ფიესტის მაძებარ მადრიდს სუსხიანად დაუხვდა — „ლერკენდალის“ მიდამოებში საძაგელი ამინდია და ტემპერატურაც 15-გრადუსზე ზემით არაფრით ადის. თუმც მომხვდურთათვის მთავარი პრობლემა არა ჩრდილოური სუსხი, არამედ წამყვან ფეხბურთელთა ტრავმები გახლავთ. ესპანელებს დაშავებულები რონალდო, ბაპტისტა, გრავესენი და ზიდანი ვერ დაეხმარებიან. არ ითამაშებს აგრეთვე სანქცირებული პაბლო გარსიაც. ამასთანავე, ესპანური მედიის ცნობებით, მიჩელ სალგადომ ტრავმა სრულად ვერ მოირჩინა, ამიტომაც ნორვეგიაში მისი ბურთაობაც საეჭვოა. სავარაუდოდ, ლუშემბურგოს „რუსენბორგთანაც“ იმ შემადგენლობის გამოყვანა მოუწევს, რითაც პირინეული პრიმერას ბოლო ტურში „ბეტისი“ შეჭამა. ცვლილება ის არის, რომ პაბლო გარსიას მაგივრად მომჯობინებული დევიდ ბექემი ითამაშებს.

ინგლისელი მოედნის მარჯვენა ფლანგზე იქნება, ცენტრში კი კარლოს დიოგო და სერხიო რამოსი იბურთავებენ. თავდასხმაში „რუსენბორგის“ კარის რისხვა რაულსა და „ბეტისის“ დამჩოქებელ რობინიოს ვიხილავთ.

„რეალის“ მეტოქე ვიკინგებს კი 1997-98 წლების ლიგა ახსენდებათ იმედიანად. მაშინ „რუსენბორგმა“ „სამეფო გუნდს“ 2:0 მოუგო. იქაურ პრესაში ერთი ამბავია ატეხილი, „რეალს“ დაცვა ხშირად ითანგება და ჩვენც კონტრშეტევებზე ვანდერლეის ბიჭების სიბრიყვის გამოვიყენებთო. ნორვეგიელთა ყველაზე სახიფათო იარაღი მაღალ ბურთებზე კარგი თამაშია — ტრადიციულად ტანმაღალი სკანდინავიელები კუთხურების დროს მეტოქის კარს სამეფო კობრას სიზუსტით შხამავენ ხოლმე... „რუსენბორგს“ დღეს იქაური ვეტერანი როარ სტრანდი მწყობრში ეყოლება. ამ ვიკინგს „რეალთან“ ლიგაში ჩატარებულ ხუთ ჯახში უთამაშია და დიდი ხნის წინ გალაქტიკოსებისთვის გამარჯვების გოლიც აქვს გატანილი.

**F** ჯგუფის პარალელურ მატჩში ჟერარ ულიეს ლიდერი „ლიონი“ აუტსაიდერ „ოლიმპიაკოსს“ ელადაში ჩააკითხავს. „ლიონს“ საფრანგეთშიც მშვენივრად აქვს საქმე — ულიეს ბიჭებმა ადგილობრივი ჩემპიონატის მეცამეტე ტურში შინაურ „გერლანდზე“ ფლორან მალუდას გოლით „სოშო“ 1:0 დაამარცხეს. ჩემპიონთა ლიგაზე გალებმა თავიანთ ჯგუფს 9 ქულით თავკაცობენ. აქამდე „ლიონმა“ გალაქტიკური „რეალიც“ ამოაყირავა, სუსხიანი „რუსენბორგიც“ და დღევანდელი მეტოქე „ოლიმპიაკოსიც“.

„საბერძნეთში გამარჯვება ნებისმიერი გუნდისთვის ძნელი საქმეა, თუმც ათენში ჩვენი მიზანი ოდენ მოგება იქნება“ — განაცხადა ჟერარ ულიემ „ეკიპთან“ საუბარში.

„ოლიმპიაკოსმა“ ელინთა პირველობის მატჩში გასვლაზე „აპოლონს“ 2:1 მაართვა. ტრონდ სოლიდის კლუბი შინაურ სარბიელზე სატურნირო ცხრილში „ქსანთის“ შემდეგ 18 ქულით მეორე ადგილს იკავებს. „ლიონთან“ ადგილობრივებს ტრავმირებული იანის ტარალიდისი და ანასტასიოს პანტოსი არ ეყოლებათ.

**ლადო ხომერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |



ვანდერლეი ლუშემბურგოს ტრონჰეიმში სუსხი დახვდა

AFP ტრონჰეიმიდან

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი IV ტური. დღეს

## G ჯგუფი

### ლივერპული — ანდერლეხტი

ლივერპული. „ენფილდ როუდი". მსაჯი: კიმ მილტო-ნილსენი (დანია)

რეინა, ჰიიპია, ხოსემი, რიისე, კარაგერი, ჰამანი, ჯერარდი, ალონსო, ლუის გარსია, კრუჩი, ჯ. სისე

პროტო, ტიინენი, დეშახტი, ჟუაში, ჟევლაკოვი, ვილჰელმსონი, ვანდერჰეიგე, ზეტერბერგი, გოორი, მ. მპენზა, სერჰატი

### ბეტისი — ჩელსი

სევილია. „სანჩეს პისხუანი". მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

დობლასი, ო. ლოპესი, ხუანიტო, მელი, დ. რივასი, რივერა, ვარელა, ანხელი, ედუ, ხოაკინი, ოლივეირა

ჩეხი, კარვალიუ, გალასი, ტერი, დელ ორნო, შ. რაიტ-ფილიპსი, მაკელელე, ესიენი, ლამპარდი, კრესპო (ან ჯო კოული), დროგბა



AFP

ლონდონელები მორიგი გამარჯვებისთვის ემზადებიან

## იანვრის თავგადასავლები

**არ გვგონია,** ვინმეს დიდი იმედი ჰქონდეს, „ბეტისის" ან „ანდერლეხტის" ჯგუფიდან გაძრომისა. ამათ შორის ბრძოლა მესამეობისთვის მიდის, ლიდერები კი ერთმანეთთან პრინციპულ ანგარიშებს ასწორებენ — „ჩელსის" დღემდე ვერ მოუნელებია „ლივერპულისგან" გვემა წინა სეზონში.

ეს ზოგადი ვითარებაა, ამ ტურში კი „ლივერპული" „ანდერლეხტს" მასპინძლობს, „ჩელსი" კი სევილიაში მიდის და თუ ორივე ფავორიტმა მოიგო, დღეს ღამესვე ორივენი მერვედფინალისტები შეიქნებიან.

ისე ჩანს, რომ ლივერპულის მენეჯერი დღევანდელ თამაშს რაღაც აგდებულადაც უყურებს, რაკილა მეტოქეზე ლაპარაკის მაგიერ სამომავლო გეგმებზე კომენტარების კეთებას ამჯობინებს.

„იანვარში, სატრანსფერო ფანჯარა რომ გაიხსნება, დიდი თავგადასავლები გველის — თქვა ბენიტესმა — წინა იანვარში, გეხსომებათ, დიდად არ გვიაქტიურია, მაგრამ მაშინ არც ევროპის ჩემპიონები ვიყავით. ახლა სხვა საქმეა. ვილაცეებს ვაკვირდებით და ვფიქრობ, შედარებით იაფად რამდენიმე ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელის დამატებასაც შევძლებთ. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ საუკეთესოების შესაძენად მაინცდამაინც უზარმაზარი თანხის გადახდა საჭირო არ არის".

ბელგიელთა მწვრთნელის, ფრანკ ვერკოტერენის აზრები კი მთლიანად დღევანდელ შეხვედრას დასტრიალებს. „ანდერლეხტს" პრობლემები აქვს: მცველები, ვინსენ კომპანი და ენტონი ვანდენი დაშავებულები არიან, თუმცა ორი სხვა მცველი, ჰანუ ტიინენი და როლან იუჰაში მომჯობინდნენ.

ისიც ვთქვათ, რომ „ანდერლეხტს" ძალიან გაუჭირდება საზარელი სერიის შეწყვეტა — გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში მიჯრით ათი თამაში წააგო. ცხადია, ეს სერია წინა სეზონებიდან მოსდევს!

და კიდევ: საამჩქტოდ არც „ლივერპულში" და არც „ანდერლეხტში" დისკვალიფიცირებული არავინაა, თუმცა ორი ლივერპულელი — ხოსე რეინა და ხაბი ალონსო ფრთხილად უნდა იყოს, ამათ დისკვალიფიკაციამდე თითო ყვითელი ბარათი უკლიათ.

დისკვალიფიცირებულები არც სევილიური მატჩისთვისაა ვინმე. დისკვალიფიკაციამდე თითო გაფრთხილება კი „ბეტისიდან" დავიდ რივასს და ფერნანდო ვარელას უკლიათ, „ჩელსიდან" კი შონ რაიტ-ფილიპსს.

ამ სეზონამდე „ბეტისი" ოდენ ერთხელ შეხვდა ინგლისურ კლუბს და ის ინგლისური კლუბი „ჩელსი" იყო. 1997-98 წლების სეზონის თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში.

პირველი თამაში, სევილიაში, ლონდონელებმა მედგარად დაიწყეს ტორე ანდრე ფლოს დუბლით იგებდნენ, თუმცა ბოლოსკენ ბეტისელმა ალფონსო პერესმა ერთი გოლი გაქვითა.

იმ მატჩიდან ორი კვირის თავზე „სტემფორდ ბრიჯზე", ფინიდი ჯორჯის გოლმა ესპანელებს ნახევარფინალში გასვლის იმედი გაუღვივა, მაგრამ ფრენკ სინკლერმა, რობერტო დი მატეომ და ჯანფრანკო ძოლამ ივარგეს და ორი მატჩის ჯამში „ჩელსიმ" 5:2 გაიმარჯვა.

იმ ორ გამარჯვებას „ჩელსიმ" საამსეზონო პირველ წრეში „ბეტისთან" ერთი მოგებული მიამატა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბეტისი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 0 | 4 | 0:3 | 0 |

## H ჯგუფი

### ინტერი — პორტუ

მილანი. „სან სირო". მსაჯი: მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

სეზარი, კორდობა, მატერაცი, სამუელი, ფავალი, ვერონი, კამბიასო, ფიგუ, სოლარი, ადრიანო (ან კრუზი), რეკობა (ან მარტინსი)

ბაია, ემანუელი, ბოსინგვა, პეპე, ჩეხი, გონსალესი, დიეგო, ალმეიდა, კვარესმა, ჟორჟინიო, მაკარტი

### არტმედია — რეინჯერსი

ბრატისლავა. „ტეჰელნე პოლე". მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)

ჩობეი, დებნარი, პეტრასი, ურბანეკი, ვაშჩაკი, კოზაკი, ბორბელი, დურიცა, ფოდრეკი, ჰალენარი, ჰარტიგი

ვატერეუსი, კირიაკოსი, რიკსენი, როდრიგესი, ნამუჩი, ბერნარდი, ჰენდრიხი, ფერგიუსონი, ლოვენკრანდსი, ტომპსონი, [illegible]

## არტმედიას უცუდესი

**მილანის** „ინტერი" „პორტუს" ცარიელ ტრიბუნებს დაახვედრებს. ინტერელთა წილი „სან სირო" ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის. ეს მესამე მატჩია და სასჯელის ვადა ბოლო ტურში, „არტმედიასთან" შეხვედრის შემდეგ ამოიწურება.

სტუმრად „პორტუსთან" მარცხის მერე „ინტერმა" ჩემპიონატშიც წაიფორთხილა. ჯერ შინ „რომასთან" წააგო, რასაც „სამპდორიასთან" ზავი მიაყოლა. „შავ-ლურჯებმა" დღეს თუ მოიგეს, მერვედფინალის ფაქტობრივად გაინაღდებენ. შანსი აქვს სამქულიან „პორტუსაც", რომელსაც სულ მცირე, ქულა სჭირდება, რათა ჯგუფიდან გასასვლელად ბრძოლა გააგრძელოს.

„სამპდორიასთან" ორჯერ ვაგებდით, მაგრამ ორჯერვე შევძელით გათანაბრება. ეს ძალიან კარგია და გუნდის ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს" — თქვა „ინტერის" პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ.

„შავ-ლურჯებს" კრისტიანო ძანეტი, ხავიერ ძანეტი და დეიან სტანკოვიჩი დააკლდებათ. შესაძლოა, ვერ ითამაშოს ადრიანომ. მას ხულიო რიკარდო კრუზი შეცვლის.

„პორტუ" გასულ უქმეებზე შინ „სეტუბალთან" ფრეს დასჯერდა, მანამდე კი თითქმის სათადარიგო შემადგენლობით თასზე „მარკუს" 1:0 მოუგო. ბრუნო ალვეშის, რიკარდო კოშტას და უგო ალმეიდას თამაშით კო ადრიანსე კმაყოფილია. მათ კლუბთან კონტრაქტები 2010 წლამდე გაახანგრძლივეს. პორტუგალიელებს ტრავმამოშუშებული ფორვარდი ლისანდრო ლოპესი და ნახევარმცველი დიეგო დაუბრუნდათ.

„ძალიან უნდა მოვინდომოთ, რომ კიდევ ერთხელ მოვუგოთ „ინტერს" — თქვა ადრიანსემ — ის ჩვენზე უკეთესი გუნდია და ბევრად გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს.

მილანის „ინტერს" პორტუგალიურ კლუბებთან კარგი საშინაო ბალანსი აქვს. შვიდი შეხვედრიდან მილანელებმა ექვსი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს, 17 გაიტანეს და 5 გაუშვეს.

ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ „პორტუმ" სტუმრად გამართული ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო.

ბრატისლავის „არტმედიამ" ალექს მაკლიში გააოცა, როცა „აიბროქსზე" ქულას ხელი გამოჰკრა. მას შემდეგ მაკლიში კიდევ ორჯერ დარჩა გაოგნებული, რადგან მისმა გუნდმა ჩემპიონატში სამიდან მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგება შეძლო. „ჩაფარიას" მწვრთნელი „არტმედიასთან" საშინაო ფრის მერე ქომაგებს ბრატისლავაში გამარჯვებას შეჰპირდა და პირობა დღეს უნდა შეასრულოს. გლაზგოელებს გასულ თვეში ტრავმა შეემთხვა, რის გამოც მაკლიშს ძირითადი შემადგენლობის ბევრი ფეხბურთელი მოაკლდა. სწორედ ესაა მიზეზი „რეინჯერსის" დაღმასვლისა. ბრატისლავურ მატჩში შოტლანდიელებს გამოკეთებული კირიაკოსი, როდრიგესი, ჯეფერსი და სტივენ ტომპსონი დაეხმარებიან.

„არტმედიას" ბოლო ორ საშინაო ევრომატჩში გოლი არ გაუტანია. „პარტიზანთან" უგოლო ფრეს დასჯერდა, „ინტერთან" კი 0:1 წააგო. ბრატისლაველებმა ჩემპიონატში „რუჟომბეროკთან" წააგეს და საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდნენ. მეკარე იურაი ჩობეის რომ არ ეთამაშა, ანგარიშში სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა.

„ეს ჩვენი უცუდესი მატჩი იყო სეზონში — თქვა „არტმედიას" მწვრთნელმა ვლადიმირ ვეისმა — კარში ერთხელაც კი არ დაგვირტყამს".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| არტმედია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| რეინჯერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| პორტუ | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |



რობერტო მანჩინის „ინტერი" კვლავ გულშემატკივრის გარეშე იქნება

# ედუარდმა გაიტანა



AFP ოსეროდან

ოსერი — პსჟ 2:0. მასპინძლებმა პარიზელი ბერნარ მენდის (მარცხნივ) გუნდი დასცეს

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XIII ტური

ნანსი 0:0 ნიცა

ოსერი 2:0 პსჟ

1:0 ე. სისე (52 ს.კ.), 2:0 პიერონი (85)

**„პარი სენ ჟერმენის"-ის** ნახევარმცველმა ედუარდ სისემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, თამაშის ბოლოს კი ოსერელმა პიერონიმ ნაკუთხურალზე იხეირა და ჟაკ სანტინის გუნდმა დედაქალაქელებს მოუგო.

„ოსერმა" ამ სეზონში შინ მხოლოდ ორი გოლი გაუშვა, პსჟ-ს კი სტუმრად ოდენ ერთი მატჩი ჰქონდა მოგებული. ასე რომ, შინ კარგად და სტუმრად უხეიროდ მოთამაშე გუნდების შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს. პსჟ-მ მეორე ადგილი ვეღარ დაიბრუნა, ხოლო „ოსერმა" მეხუთე საფეხურს უწია.

„იღბლის წყალობით მოგვიგეს — თქვა ნამატჩევს პარიზელმა ბონავენტურე კალუმ, რომელიც შარშან „ოსერის" ფეხბურთელი იყო. — ჩვენ ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მე გაბრაზებული არა, მაგრამ, ცხადია, ნაწყენი ვარ. სათანადო დისციპლინა გვაკლია".

„ნანსის" პირველი ტაიმის მიწურულს სედრიკ ლეკლუსი გაუძევეს, რომელმაც სამ წუთში ორჯერ იუხეშა. ათკაცა მასპინძლები მეორე ნახევრის განმავლობაში დაცვაში ისხდნენ, მაგრამ მთავარი კაცი მათი მეკარე ბრასილანო იყო.

„ეს უკვე მეოთხე თუ მეხუთე შემთხვევაა, როცა მეტოქე მეკარის გამო თამაშს ვერ ვიგებთ" — დაიჩივლა „ნიცას" თავკაცმა ფრედერიკ ანტინეტიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 13 | 10 | 3 | 0 | 23:8 | 33 |
| ბორდო | 13 | 6 | 6 | 1 | 14:7 | 24 |
| სტ. ეტიენი | 13 | 6 | 5 | 2 | 14:7 | 23 |
| პსჟ | 13 | 7 | 2 | 4 | 15:11 | 23 |
| ოსერი | 13 | 7 | 1 | 5 | 16:16 | 22 |
| ლილი | 13 | 5 | 5 | 3 | 18:10 | 20 |
| მონაკო | 13 | 6 | 2 | 5 | 14:11 | 20 |
| რენი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:23 | 20 |
| ლანსი | 12 | 4 | 7 | 1 | 18:9 | 19 |
| ლე მანი | 13 | 5 | 4 | 4 | 13:9 | 19 |
| მარსელი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:15 | 18 |
| ნანსი | 13 | 5 | 2 | 6 | 16:9 | 17 |
| ნიცა | 13 | 4 | 5 | 4 | 11:13 | 17 |
| ნანტი | 13 | 4 | 3 | 6 | 10:11 | 15 |
| ტულუზი | 13 | 4 | 3 | 6 | 10:15 | 15 |
| სოშო | 13 | 3 | 3 | 7 | 7:14 | 12 |
| აიაჩო | 12 | 2 | 5 | 5 | 9:14 | 11 |
| ტრუა | 13 | 2 | 5 | 6 | 10:17 | 11 |
| სტრასბური | 13 | 0 | 6 | 7 | 5:14 | 6 |
| მეცი | 13 | 0 | 4 | 9 | 5:24 | 4 |

*ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე ბილბაოს „ატლეტიკის" თავკაცად დანიშნეს — ბასკურმა გუნდმა, რომელიც მიმდინარე სეზონში ნამდვილად ვერაფრით დაიტრაბახებს, თანამდებობიდან ხოსე ლუის მენდილიბარი დაითხოვა*

# კლიმატს კლემენტე შეცვლის



**თავის მხრივ** არც მენდილიბარი იყო დიდი ხნის დანიშნული. მან „ატლეტიკის" მწვრთნელის პოსტი გასულ ზაფხულს, ივნისში ჩაიბარა, როდესაც ერნესტო ვალვერდე შეცვალა, მაგრამ რაც გინდა, „ლა ლიგაში" მაინც პირველი მწვრთნელი შეიქნა, რომელმაც ამ სეზონში თანამდებობა დატოვა.

რა შედეგი ჰქონდა მენდილიბარის ხელმძღვანელობით „ატლეტიკს"? პირველ ტურში ასევე ბასკურ „რეალ სოსიედადთან" გამარჯვების შემდეგ გუნდმა ხეირიანი ვეღარაფერი შეძლო და ექვსი ქულით ცხრილის ფსკერზეა დალექილი.

„დღეს ჩვენი კლუბისთვის ძალიან მძიმე, სევდიანი დღეა, რადგან ასეთი გადაწყვეტილების მიღება სასიამოვნო საქმე ნამდვილად არ არის. ჩვენ დავემშვიდობეთ დიდ მწვრთნელსა და დიდ პიროვნებას, რომელთანაც ხანგრძლივ თანამშრომლობას ვაპირებდით" — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ფერნანდო ლამიკისმა.

55 წლის ხავიერ კლემენტესთვის ეს „ატლეტიკში" ბედის მესამედ ცდა იქნება. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 1983 და 1984 წლებში ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიგო.

კლემენტე, როგორც მწვრთნელი უთუოდ ცნობილია, მაგრამ კლემენტე, როგორც ფეხბურთელი აშკარად წარუმატებელი გახლდათ. ბარაკალდოში დაბადებული (ბარაკალდო დღეს ფაქტობრივად შეერწყა ბილბაოს და მის გარეუბნად იქცა), 24 წლისა ჩამოშორდა მოედანს მუხლის ტკივილის გამო. 1981 წელს ის უკვე გუნდის მწვრთნელად დაინიშნა და მალე, 1956 წლის შემდეგ პირველ ჩემპიონობამდეც მიიყვანა. შემდეგ სეზონში მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ტიტულთან ერთად ქვეყნის თასიც მოიგო.

ბასკეთიდან კლემენტე სამუშაოდ ბარსელონის „ესპანიოლში" გადავიდა და 1998 წელს გუნდი უეფას თასის ფინალში გაიყვანა — იმ წელიწადს თასი ლევერკუზენის „ბაიერმა" მოიგო.

1991 წელს კლემენტე ისევ ბილბაოს დაუბრუნდა, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით. ამის შემდეგ იგი მომდევნო ექვსი წლით ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი გახდა. ნაკრებში მის წარმატებად 1994 წლის მუნდიალსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატში მეოთხედფინალში გასვლას მოიხსენიებენ, ნაკრებიდან დათხოვნის შემდეგ კი კლემენტემ პატარა გუნდების გავარდნისგან გადარჩენაში გაიწაფა ხელი: „ბეტისი", „სოსიედადი", ესპანიოლი"... ცოტა ხნით ფრანგულ „მარსელშიც" იმუშავა.

2003 წლის შემდეგ კლემენტე მედიაში ექსპერტი იყო.

**პაპუნა ქედია**

# ფორლანი მეთოფეთა სამიზნეზე

**„ვილიარეალის"** ურუგვაელ ფორვად დიეგო ფორლანს შარშანდელი ბრწყინვალე სეზონი ინგლისური „არსენალის" თავკაცთათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. როგორც ალბიონური გაზეთები აცხადებენ, ფორლანის შეძენას „მეთოფეები" გაისად ეცდებიან. რასაკვირველია, არსენ ვენგერის გუნდს არ უნდა, იქაური პრემიერლიგის სხვა გიგანტებს „ჩელსის", „ლივერპულსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" ჩამორჩეს. თუ „ჰაიბერის" ფრანგი მწვრთნელი „არსენალში" ოკეანისგაღმელ დიეგოს მიიყვანს, კლუბში უკვე გასული სეზონის „ოქროს ბუცის" ორი მფლობელი ეყოლება (ფორლანმა ხომ საპატიო ჯილდო სწორედ „მეთოფე" ტიერი ანრისთან გაიყო).

„არსენალის" სასურველ ფორვარდს „ვილიასთან" კონტრაქტი 2009 წლის ივნისში უმთავრდება. ესპანური გაზეთების ცნობით, ყვითლების" თავკაცობა თავის ერთ-ერთ ვარსკვლავთან იოლად განშორებას არ აპირებს. თუ „მეთოფეები" დიეგოს ხელში ჩაგდებას მაინც მოინდომებენ, სავარაუდოდ 36 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ, რაც ფორლანის კონტრაქტის გაწყვეტის ღირებულებაა.



ურუგვაელი ესპანურ პრიმერაში თავის დროზე ინგლისიდან მოვიდა. იქ „მანჩესტერში" თავი ვერ გამოიჩინა, მაგრამ „ნისლიან ალბიონზე" მისი ბურთაობა „არსენალის" გარდა სხვა კლუბებსაც ახსოვთ. „ნიუკასლმა" და „ასტონ ვილამ" გასულ ზაფხულს ფორლანის შეძენა უკვე სცადეს. „არსენალი" ამ საქმისთვის ჯერჯერობით 24 მილიონ ევროს იმეტებს.

**ლადო ხომერიკი**

# განას ენდი კოული შეუყვარდა

**2006 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატზე მოულოდნელად გათოხარიკებულ განის ნაკრებს სავარაუდოდ ენდი კოული, 34 წლის ინგლისელი ფეხბურთელი გაწვრთნის.

„აფრიკელების წინადადებამ ძალიან დამაინტერესა. ბუნებით გამბედავი კაცი ვარ და არანაირ ავანტურისტულ შემოთავაზებაზე უარს არ ვიტყვი. დამრიგებლობაზე ყოველთვის ვოცნებობდი და თუ განასთან მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, ვეცდები, გერმანიაში ამ ქვეყნის ნაკრებს წარმატება მოვუტანო" — აღნიშნა ენდი კოულმა ალბიონურ „სანთან" საუბარში.

ვეტერანი კოული ამჟამად „მანჩესტერ სიტის" ღირსებას იცავს. განელები კი მისი ოსტატობით მართლა ძალიან მოხიბლულან.

„ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური პირველად მოიპოვა. ახლა სწორედ კოულისთანა სპეციალისტი გვჭირდება, გერმანია 2006-ზე თავი რომ არ შევირცხვინოთ" — განაცხადა აფრიკული ქვეყნის სპორტის მინისტრმა.

**ლადო ხომერიკი**

# იტალიელებს ბასკი უთავკაცებს



ერნესტო ვალვერდე

**იტალიური** „პარმას" მომავალი დამრიგებლის ვინაობა უკვე გადაწყვეტილია, აპენინურ კლუბს ბასკური „ბილბაოს" ექსთავკაცი ერნესტო ვალვერდე გაწვრთნის, შეგახსენებთ, რომ „პარმას" პრეზიდენტი ლორენსო სანსია, მადრიდის „რეალის" ყოფილი უფროსი. სენიორ ლორენსომ თავის კლუბის დამრიგებლად კლაუდიო რანიერის დანიშვნას ისევ პირინეელი სპეციალისტის მოყვანა ამჯობინა.

„პარმა" ახლა სერია A-ს ცხრილში მეთექვსმეტე ადგილზეა გაჭედილი. ლორენსო სანსმა გუნდის ახლანდელ მწვრთნელ მარიო ბერეტის აცალა, აცალა და როცა მოთმინება გადაეწურა, გადაწყვიტა, ახალი დამრიგებელი მოეძებნა. საინტერესოა, რომ ერნესტო ვალვერდე „პარმას" ადრეც გადაჰყრია, ოღონდ მეტოქის რანგში — 2004 წლის 21 ოქტომბერს უეფას თასზე მაშინდელმა „ბილბაომ" იტალიელებს 2:0 მოუგო.

**ლადო ხომერიკი**


# სარბიელი

## სამუშაოდ იწვევს

### გაზეთში ნამუშევარ ამკრეფ-ოპერატორს

### მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

# მექანიკური მდოგვი



რეინალდო მერლო

## არგენტინა

### აპერტურა. XII ტური

**ხუნიორსი 0:1 ხიმნასია ლპ**
0:1 ფლეიტასი (47ს.კ.)
გაძევება: ლობოსი (80, ხიმნასია ლპ)

**ბოკა ხუნიორსი 2:1 ნიუელსი**
1:0 ინსუა (33), 1:1 ბელუში (45), 2:1 პალასიო (70)

**სან ლორენსო 2:1 რასინგი**
0:1 ვილანუევა (53), 1:1 ლავესი (63), 2:1 მონტერო (71)

**როსარიო 0:3 რივერ პლეიტი**
0:1 გალიარდო (16პ), 0:2 დომინგესი (28), 0:3 ფარიასი (50პ)

**ხიმნასია ხ 1:2 ველესი**
0:1 ცენტურიანი (52პ), 1:1 სოსა (59), 1:2 ბერსა (81ს.კ.)

**ინსტიტუტო 0:0 კილმესი**

**არგენტინაში** იქაური აპერტურას მეთორმეტე ტურის გადადებული მატჩები გაიმართა. მიგელ ანხელ რუსოს „ველეს სარსფილდმა“ „ტასიტა დე პლატას“ არენაზე ხუხუის „ხიმნასიას“ 1:2 მოუგო. ჩემპიონატის ლიდერი კი პატაგონიური გრანდი „ბოკა ხუნიორსია“. „ლა ბონბონერას“ ბიჭები კუდში ჩამდგარ „ველესს“ ერთი ქულით უსწრებენ.

„ბოკამ“, რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელის არყოფნის მიუხედავად, კვირას „ნიულსი“ 2:1 დაამარცხა. მოიგო „რივერ პლეიტმაც“. ბოლო ექვსი თვის მანძილზე რეინალდო მერლოს შეგირდებმა სტუმრად სამი ქულა პირველად მოიპოვეს. „ესტადიო მონუმენტალის“ ბინადრებმა „როსარიო სენტრალი“ დაჩოქეს — 0:3.

„ტასიტა დე პლატას“ ჯახში მოედანზე თავიდანვე სტუმრები გაბატონდნენ. მართალია, „ველესის“ ლიდერი ლეანდრო გრასიანი იმ დღეს ერთობ ფერმკრთალად გამოიყურებოდა, მაგრამ ანხელ რუსოს დარჩნენ მოწაფეებს თავი არ შეურცხვენიათ.

„ხიმნასია“ კონტრშეტევებზე თამაშობდა და მატჩის პირველ 15 წუთში მწვავე მომენტები დამცხდურებმაც შექმნეს. ისრაელ დამონტემ გასტონ სესას კარის მამართულებით მოულოდნელი თავური გლიჯა, თუმც „ველესის“ საბედნიეროდ, ოდნავ არაზუსტად. საპასუხო სახიფათო დარტყმა კლაუდიო ენრიას ანგარიშზეა.

ერთი სიტყვით, მიუხედავად ანხელ რუსოს გუნდის სიჩაუქისა, ანგარიშის გახსნა მასპინძლებსაც შეეძლოთ. სხვათა შორის, ხუხუის არენაზე ვერც ხავიერ გარსიამ ივარგა. „ხიმნასიას“ ვარსკვლავი „ტასიტა დე პლატაზე“, ლეანდრო გრასიანის არ იყოს, კეთილშობილ ქალთა გიმნაზიის აღსაზრდელს მოგაგონებდათ...

სტადიონზე შეკრებილმა 18 ათასმა ადგილობრივმა ინჩასმა კი მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე ჩახარა თავი — ფრანკო სოსამ „ხიმნასიას“ საჯარიმოზე როლანდო სარატეს მოატეხინა კისერი და პენალტი ემანუელ სენტურიონმა შეაგდო. გადის 8 წუთი და იგივე სოსა სერისუელას ჩინებული პასის მერე ბურთს მეტოქის კარში ათავსებს.

მერე ადგილობრივებს მხედართმთავრად გუსტავო ბარტლეტი მოევლინათ. მარიო გომესის მოიერიშე შეგირდმა რამდენჯერმე გააცუდა გოლის გატანის ხელსაყრელი შანსი. მეორე ნახევრის 26-ე წუთზე არბიტრმა ხიმნასიელი მაქსიმილიანო სალასი გააძევა და კაცნაკლულად დარჩენილ მოწინააღმდეგეს მომხდურმა გაუჩოებმა ადვილად მოუარეს. გამარჯვების გოლი მარსელო ბერსამ გაიტანა და, როგორც „ლა ნასიონი“ იუწყება, სიხარულისგან ისე ილრიალა, რომ „ხიმნასიას“ გამხეცებული ფანების გინება ჩაახშო...

ალფიო ბასილეს „ბოკა ხუნიორსს“ სისხლხორცეულ „ბონბონერაზე“ მეტოქეები ბუზს ვერ უფრენენ — მორიგი მსხვერპლი „ნიუელს ოლდ ბოისია“.

ინსუა, მარინო, პალასიო, დელგადო და ძმანი მათნი საწყალ როსარიოელებს მთელი ძალით დაატყდნენ თავს. უსუსურად გამოიყურებოდა სტუმრების ვეტერანი მოთამაშე არიელ ორტეგა და რომ არა ნახევარმცველი ფერნანდო ბელუში, ვინძლო „ძველი ბიჭების“ არმადას „ბოკას“ არენა საერთოდ უგოლოდ დაეტოვებინა.

ანგარიში მასპინძლებმა 33-ე წუთზე გახნეს. პალასიო-საპატას ომში ფედერიკო ინსუა იღბლიანად ჩაერთო და ჩახვეული დარტყმით მეტოქის მეკარეს კარის სიღრმიდან გამოატანინა ბურთი. ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, რომ ბასილეს ბიჭებს „ოლდ ბოისი“ დიდი ანგარიშით უნდა მოესპოთ, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წამზე ფერნანდო ბელუშიმ ლამაზი გოლი შეაგდო და ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში სტუმრების მისადგომებთან აწეული ჯოჯოხეთი ბაროშ შელოტოს პასით და როდრიგო პალასიოს მძლავრად მოქნეული მარცხენა ფეხით დასრულდა.

გეხსომებათ „მექანიკური ფორთოხალი“. ენტონი ბერჯესის სკანდალურ წიგნს სამოციან წლებში საზოგადოებაში დიდი რეზონანსი ხვდა წილად. არგენტინელი მედია კი „რივერ პლეიტის“ „როსარიო სენტრალთან“ ფიესტის შემდეგ „რივერის“ მწვრთნელ მერლო „მექანიკურ მდოგვად“ მოიხსენიებს. აქაოდა, ზედმეტსახელად „მდოგვი“ აქვს და „როსარიოც“ დახვეწილი სადიზმით გაამწარაო.

სტუმრებმა პირველი გოლი მეთხოთმეტე წუთზე გაიტანეს. ხოსე ჩამოტმა თავის საჯარიმოზე ერნესტო ფარიასი მოცელა და ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანი დარტყმა მარსელ გალიარდოს ანგარიშზეა. ათიოდე წუთის შემდეგ ხერმან რივაროლას შცდომით ფედე დომინგესმა ისარგებლა — 0:2. საბოლოო და გამანადგურებელი წერტილი ერნესტო ფარიასმა მეორე ტაიმის მეთოზე წუთზე დასვა.

გუსტავო ალფაროს „სან ლორენსომ“ ფერნანდო კეროსის „რასინგი“ ეზეკიელ ლავესის და პაოლო მონეროს გოლებით 2:1 დაამარცხა. „რასინგიდან“ ერთადერთი ბურთი ხოსე ვილიანუევამ შეაგდო. „ინსტიტუტომ“ და „კილმესმა“ მშრალი ფრე, 0:0 გაითამაშეს, ხოლო ლა პლატას „ხიმნასიამ“ გასვლაზე „არგენტინოს ხუნიორსისს“ აუგო წესი. გადამწვეტი გოლი იქ საკუთარ კარში „ხუნიორსის“ ბეჩავმა მცველმა ლეანდრო ფლეიტასმა გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 12 | 8 | 3 | 1 | 25:9 | 27 |
| ველესარსფილდი | 12 | 8 | 2 | 2 | 18:7 | 26 |
| ხიმნასია ლა პლატა | 12 | 7 | 1 | 4 | 15:14 | 22 |
| არგ. ხუნიორსი | 12 | 6 | 3 | 3 | 12:8 | 21 |
| ინდეპენდიენტე | 12 | 5 | 5 | 2 | 21:14 | 20 |
| ბანფილდი | 12 | 4 | 7 | 1 | 16:11 | 19 |
| სან ლორენსო | 12 | 5 | 4 | 3 | 20:17 | 19 |
| ესტუდიანტესი | 12 | 6 | 1 | 5 | 15:12 | 19 |
| ოლიმპო | 12 | 4 | 7 | 1 | 14:11 | 19 |
| რივერ პლეიტი | 12 | 5 | 2 | 5 | 15:13 | 17 |
| როსარიო | 11 | 4 | 3 | 4 | 13:17 | 15 |
| არსენალი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| ლანუსი | 12 | 3 | 5 | 4 | 11:17 | 14 |
| ინსტიტუტო | 12 | 2 | 6 | 4 | 6:11 | 12 |
| ხიმნასია დე ხუხუი | 12 | 2 | 5 | 5 | 14:18 | 11 |
| რასინგი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:18 | 11 |
| კილმესი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:16 | 11 |
| კოლონი | 12 | 2 | 4 | 6 | 15:22 | 10 |
| ოლდ ბოისი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:20 | 9 |
| ტირო ფედერალი | 11 | 1 | 1 | 9 | 8:17 | 4 |



# კარლოს პარეირამ ბრაზილიას ესპანეთის მუნდიალი გაახსენა

**ბრაზილიის** ნაკრების დამრიგებელმა კარლოს ალბერტო პარეირამ განაცხადა, რომ არ სურს გერმანიის დამდეგ მუნდიალზეც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის იმედგაცრუება განმეორდეს.

„23 წლის წინ მუნდიალზე ზუსტად ისეთი ფავორიტები ვიყავით, როგორიც დღეს ვართ. ესპანეთის მსოფლიოს პირველობამდე ერთი წლით ადრე ამხანაგურ ჯახში გერმანიაც დავამარცხეთ, საფრანგეთიც და ინგლისიც. ამის გამო მადრიდში თავდაჯერებულად ჩავედით, რამაც დათვური სამსახური გაგვიწია“ — თქვა პენტაკამპეონთა თავკაცმა „ო გლობოსთან“ ინტერვიუში.

პარეირას აზრით, ბრაზილიის მაშინდელი და დღევანდელი ეროვნული გუნდები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ოკეანისგაღმელებმა ზაფხულში გამართულ კონფედერაციათა თასზე ფინალში არგენტინის ნაკრები დაამარცხეს, ხოლო გერმანია 2006-ზე სამხრეთ ამერიკის შესარჩევში პირველ ადგილზე გავიდნენ.

„თუ 1982 წელს ჩვენი გუნდის ღირსებას ზიკო, სოკრატესი და ფალკაო იცავდნენ, ახლა რონალდო, რონალდინიო და რობინიო გვყავს. წინასამუნდიალო გამარჯვებებით გაბრუება ერთობ ცუდი იქნება. მთავარია, გუნდური პრინციპით ვიმოქმედოთ და მარტო აქამდე მოხვეჭილ ტიტულებზე არ ვიყოთ დამოკიდებული“ — დასძინა კარლოს ალბერტო პარეირამ.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის მუნდიალის ვერმომგები ნაკრები დღეს ბრაზილიაში პოპულარობით 1970 წლის „ოცნების გუნდსაც“ სჯობნის. იქაურ ფანთა უმრავლესობა იდეალურ ნაკრებად სოკრატესის თაობის მეომრებს ასახელებს.

# ჯადოსნურ ხოსეს გოლი გაუტანეს

**ჩილეს** „უნივერსიდად კატოლიკას“ არგენტინელი გოლკიპერის, ხოსე მარია ბულხუბაშიჩის მშრალი რეკორდი სრული 1362 სათამაშო წუთის განმვლობაში გაგრძელდა. „ჯადოსნური ხოსეს“ კარების შემლეწავი კი რენატო რამოსი გახლავთ. ვინია დელ მარის „ევერტონის“ თავდამსხმელი.

ამ მოიერიშემ „კატოლიკა - ევერტონის“ ჯახის ოცდამეცხრე წუთზე 34 წლის ბულხუბაშიჩს პენალტით გაუტანა. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო კი სწორედ ხოსეს გამო დაინიშნა — ვეტერანმა მეკარემ თავის საჯარიმოზე შემოჭრილ რამოსს გოლის თავიდან ასაცილებლად გამეტებით ჩაჰკრა წიხლი... „ევერტონის“ ფორვარდმა პენალტით გოლი კი შეაგდო, მაგრამ პატაგონიელი გოლკიპერი კარშენახულობის საქმეში მსოფლიო მასშტაბით მაინც მეოთხე ადგილზეა.



ხოსე მარია ბულხუბაშიჩი

„მშრალ რეკორდთა მეფედ“ ბრაზილიელი ჟერალდო პარეირა ითვლება, „ვასკო და გამას“ მეკარემ 1977-78 წლის ბრაზილიის ჩემპიონატში უგოლოდ 1816 წუთი გაძლო. მეორე ადგილზე 1486 წუთით ეგვიპტელი ტაბეტ ელ ბატალი დგას, ხოლო მესამე ბელგიური „ბრიუგეს“ მეკარეს, დენი ვერლინდენს ეკუთვნის. 1990 წლის ბელგიის პირველობაზე დენიმ მეტოქეებს 1390 სათამაშო წუთის განმავლობაში არ გაატანინა.

## ბრაზილია

### სერია A. XXXVII ტური

ინტერნასიონალი — კურიტიბა 3:2; ფიგეირენსე — ჟუვენტუდე 4:3; ფორტალესა — გოიასი 1:1; ატლეტიკო მნ — პალმეირასი 1:3; ატლეტიკო პრ — პარანა 2:1; კორინთიანსი — ვასკო და გამა 1:1; სანტოსი — კრუზეირო 1:2; ბრაზილენსე — ბოტაფოგო 0:0; ფლუმინენსე — პონტე პრეტა 4:3; სან კაეტანო — სან პაულუ 0:1

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. ჩემპიონატი

1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 12 | ბრაიტონი-ვულვერჰემპტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 23:45 | 13 | ბარნლი-მილუოლი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 14 | ქრიუ-ლიდსი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 23:45 | 15 | ნორვიჩი-კარდიფი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 16 | პლიმუთი-ლესტერი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 17 | პრესტონი-ჰალი | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 23:45 | 18 | რედინგი-უენსდი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 23:45 | 19 | შეფილდი-ლუტონი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 23:45 | 20 | უოტფორდი-ქპრ | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |

2 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 21 | ქოვენთრი-სტოკი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 22 | დერბი-იფსვიჩი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 23 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |

### ინგლისი. I ლიგა

1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 36 | ჰარტლპული-ჯილინგემი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:15 | 79 | დინამო-აუე | 2.00 | 3.00 | 3.40 | 1.20 | 1.25 | 1.59 |

### ჩემპიონთა ლიგა

1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 450 | ბეტისი-ჩელსი | 4.10 | 3.20 | 1.85 | 1.79 | 1.27 | 1.17 |
| 23:45 | 451 | ინტერი-პორტუ | 1.40 | 3.70 | 9.00 | 1.01 | 1.21 | 2.62 |
| 23:45 | 452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 23:45 | 453 | პეტროვალცა-რეინჯერსი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 23:45 | 454 | პსვ-მილანი | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| 23:45 | 455 | როზენბორგი-რეალი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 23:45 | 456 | შალკე-ფენერბაჩე | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:45 | 465 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |

2 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 457 | არსენალი-სპარტა | 1.25 | 5.30 | 10.00 | 1.01 | 1.11 | 3.46 |
| 23:45 | 458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 23:45 | 459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 23:45 | 461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.90 | 3.10 | 4.20 | 1.17 | 1.30 | 1.78 |
| 23:45 | 462 | ლილი-მანჩესტერი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 23:45 | 463 | თუნი-აიაქსი | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| 23:45 | 464 | ვერდერი-უდინეზე | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |

### უეფას თასი

3 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.35 | 4.10 | 8.00 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| 23:45 | 467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 23:30 | 468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 20:00 | 469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 21:00 | 470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 21:30 | 471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 22:00 | 472 | რაპიდი(ბ)-რენი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 473 | ლიტექსი-გრასჰოპერი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 23:00 | 474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:30 | 475 | ჰერენვენი-ცსკა | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 23:45 | 476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.40 | 3.90 | 6.70 | 1.03 | 1.15 | 2.46 |
| 23:45 | 477 | სამპდორია-სტიაუა | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 23:45 | 478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 23:45 | 479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 23:45 | 480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.90 | 3.10 | 3.90 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 23:45 | 481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |

### ჰოკეი

შვედეთი

1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 651 | ლექსანდი-ჰვ 71 | 3.20 | 4.00 | 1.65 | 1.77 | 1.08 | 1.16 |
| 22:00 | 652 | მოდო-მორა | 1.75 | 4.00 | 2.80 | 1.21 | 1.07 | 1.64 |
| 22:00 | 653 | ტიმრე-სიოდერტელიე | 1.60 | 4.10 | 2.90 | 1.15 | 1.03 | 1.69 |
| 22:00 | 654 | ბრიუნესი-ფერიესტადი | 2.35 | 4.00 | 1.90 | 1.48 | 1.05 | 1.28 |

### ჰოკეი. ფინეთი

1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 669 | ილვესი-ლუკო | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 20:30 | 670 | კერპეტი-ჰელსინკი | 1.65 | 4.10 | 3.00 | 1.17 | 1.06 | 1.73 |
| 20:30 | 671 | ესეტი-ჰაამეენლინა | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |
| 20:30 | 672 | ესპოო-სეიპა | 1.70 | 4.00 | 2.80 | 1.19 | 1.05 | 1.64 |
| 20:30 | 673 | ტურკუ-კალპა | 1.35 | 4.20 | 4.00 | 1.02 | 1.00 | 2.04 |
| 20:30 | 674 | იუვესკიულე-პელიკანსი | 1.35 | 4.20 | 4.00 | 1.02 | 1.00 | 2.04 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 688 | ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 1.70 | 4.00 | 2.85 | 1.19 | 1.06 | 1.66 |
| 20:00 | 689 | ზლინი-ლიტვინოვი | 1.45 | 4.10 | 3.90 | 1.07 | 1.05 | 1.99 |
| 20:30 | 690 | პლზენი-ლიბერეცი | 2.10 | 4.00 | 2.20 | 1.37 | 1.07 | 1.41 |
| 20:30 | 691 | ზნოიმო-ვსეტინი | 1.40 | 4.20 | 3.90 | 1.04 | 1.03 | 2.02 |
| 20:30 | 692 | კლადნო-სპარტა | 2.20 | 4.00 | 2.00 | 1.41 | 1.04 | 1.33 |
| 21:00 | 693 | პარდუბიცე-ტრჟინეცი | 1.55 | 4.00 | 3.50 | 1.11 | 1.07 | 1.86 |
| 22:00 | 694 | სლავია-კარლოვი ვარი | 1.40 | 4.20 | 3.90 | 1.04 | 1.03 | 2.02 |

### ჰოკეი. სლოვაკეთი

1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 709 | სკალიცა-ნიტრა | 2.50 | 4.00 | 1.85 | 1.53 | 1.06 | 1.26 |
| 20:00 | 710 | მარტინი-პოპრადი | 2.80 | 4.00 | 1.75 | 1.64 | 1.07 | 1.21 |
| 20:00 | 711 | ზვოლენი-ტრენჩინი | 1.90 | 4.00 | 2.40 | 1.28 | 1.06 | 1.50 |
| 20:00 | 712 | მიკულაში-ჟილინა | 2.05 | 4.00 | 2.25 | 1.35 | 1.07 | 1.44 |
| 20:00 | 713 | სლოვანი-კოშიცე | 1.90 | 4.00 | 2.40 | 1.28 | 1.06 | 1.50 |

### ჰოკეი. გერმანია

1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 724 | კრეფელდი-ჰამბურგი | 1.80 | 4.00 | 2.65 | 1.24 | 1.07 | 1.59 |
| 21:30 | 725 | აუგსბურგი-ჰანოვერი | 2.30 | 4.00 | 1.85 | 1.46 | 1.02 | 1.26 |
| 21:30 | 726 | იზერლონი-ნიურნბერგი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 21:30 | 727 | დუისბურგი-მანჰაიმი | 2.35 | 4.00 | 1.95 | 1.48 | 1.06 | 1.31 |
| 22:30 | 728 | კასელი-ფრანკფურტი | 2.40 | 4.00 | 1.95 | 1.50 | 1.07 | 1.31 |
| 22:30 | 729 | აისბარენი-ინგოლშტადი | 2.00 | 4.00 | 2.40 | 1.33 | 1.09 | 1.50 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 743 | ციურიხი-ლანგნაუ | 1.40 | 4.00 | 4.20 | 1.03 | 1.04 | 2.04 |
| 22:45 | 744 | დავოსი-სერვეტი | 1.70 | 4.00 | 2.80 | 1.19 | 1.05 | 1.64 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **2 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 757 | ს.იულაევი-დინამო | 2.80 | 4.20 | 1.65 | 1.67 | 1.03 | 1.18 |
| 18:30 | 758 | ლადა-მაგნიტოგორსკი | 2.60 | 4.00 | 1.85 | 1.57 | 1.08 | 1.26 |
| 13:00 | 759 | ლოკომოტივი-ავანგარდი | 1.95 | 4.10 | 2.40 | 1.32 | 1.07 | 1.51 |
| 19:30 | 760 | აკ ბარსი-სევერსტალი | 1.55 | 4.20 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.90 |
| 19:30 | 761 | ნეფტეხიმიკი-აკ | 1.90 | 4.00 | 2.65 | 1.28 | 1.10 | 1.59 |
| 20:00 | 762 | ცსკა-მედ | 1.40 | 4.30 | 3.90 | 1.05 | 1.03 | 2.04 |
| 20:00 | 763 | სპარტაკი-ხიმიკი | 1.80 | 4.20 | 2.75 | 1.25 | 1.08 | 1.66 |
| 17:30 | 764 | მოლოტი-ვიტიაზი | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 15:30 | 765 | სიბირი-ნოვოკუზნეცკი | 1.85 | 4.20 | 2.60 | 1.28 | 1.08 | 1.60 |
| | | კალათბურთი. NBA | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 800 | ფილადელფია-მილუოკი | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 23:45 | 801 | სან ანტონიო-დენვერი | 1.25 | 12.00 | 3.50 | 1.13 | 1.00 | 2.70 |
| 23:45 | 802 | ფენიქსი-დალასი | 1.70 | 12.00 | 2.00 | 1.48 | 1.00 | 1.71 |
| 23:45 | 803 | ორლანდო-ინდიანა | 2.60 | 12.00 | 1.40 | 2.13 | 1.00 | 1.25 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10450 | ბეტისი-ჩელსი | 4.60 | 2.00 | 2.20 | 1.39 | 1.48 | 1.04 |
| 10451 | ინტერი-პორტუ | 1.70 | 2.20 | 5.80 | 1.00 | 1.31 | 1.59 |
| 10452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 1.55 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.25 | 1.80 |
| 10453 | პეტრჟალკა-რეინჯერსი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10454 | პსჟ-მილანი | 4.20 | 2.00 | 2.35 | 1.35 | 1.50 | 1.08 |
| 10455 | რუსენბორგი-რეალი | 5.60 | 2.20 | 1.95 | 1.57 | 1.44 | 1.03 |
| 10456 | შალკე-ფენერბაჰჩე | 2.05 | 2.00 | 5.10 | 1.01 | 1.46 | 1.43 |
| 10457 | არსენალი-სპარტა | 1.45 | 2.50 | 7.00 | 1.00 | 1.20 | 1.84 |
| 10458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.35 | 2.80 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.03 |
| 10459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 2.55 | 2.00 | 3.50 | 1.12 | 1.47 | 1.27 |
| 10460 | ბრიუგე-რაპიდი | 2.10 | 2.00 | 4.70 | 1.02 | 1.45 | 1.40 |
| 10461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 2.30 | 2.00 | 4.40 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10462 | ლილი-მანჩესტერი | 3.80 | 2.00 | 2.50 | 1.31 | 1.50 | 1.11 |
| 10463 | თუნი-აიაქსი | 3.80 | 2.00 | 2.45 | 1.31 | 1.48 | 1.10 |
| 10464 | ვერდერი-უდინეზე | 2.20 | 2.00 | 4.65 | 1.04 | 1.49 | 1.39 |
| 10465 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 3.50 | 2.00 | 2.65 | 1.27 | 1.50 | 1.13 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11450 | ბეტისი-ჩელსი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.70 |
| 11451 | ინტერი-პორტუ | 1.95 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11453 | პეტრჟალკა-რეინჯერსი | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11454 | პსჟ-მილანი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11455 | რუსენბორგი-რეალი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.25 |
| 11456 | შალკე-ფენერბაჰჩე | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11457 | არსენალი-სპარტა | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.45 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11460 | ბრიუგე-რაპიდი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11462 | ლილი-მანჩესტერი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11463 | თუნი-აიაქსი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11464 | ვერდერი-უდინეზე | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11465 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 3.90 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### გოლი: ლუწი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17450 | ბეტისი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17451 | ინტერი-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17453 | პეტრჟალკა-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17454 | პსჟ-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17455 | რუსენბორგი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17456 | შალკე-ფენერბაჰჩე | 1.85 | 1.95 |
| 17457 | არსენალი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17462 | ლილი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17463 | თუნი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17464 | ვერდერი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17465 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 1.85 | 1.95 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13450 | ბეტისი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13451 | ინტერი-პორტუ | 1.90 | 1.70 |
| 13452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 1.90 | 1.70 |
| 13453 | პეტრჟალკა-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13454 | პსჟ-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13455 | რუსენბორგი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 13456 | შალკე-ფენერბაჰჩე | 1.70 | 1.90 |
| 13457 | არსენალი-სპარტა | 1.90 | 1.70 |
| 13458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.90 | 1.70 |
| 13459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.70 | 1.90 |
| 13461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13462 | ლილი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13463 | თუნი-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 13464 | ვერდერი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13465 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 1.70 | 1.90 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12450 | ბეტისი-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12451 | ინტერი-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 12452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 1.70 | 1.90 |
| 12453 | პეტრჟალკა-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 12454 | პსჟ-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12455 | რუსენბორგი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12456 | შალკე-ფენერბაჰჩე | 1.90 | 1.70 |
| 12457 | არსენალი-სპარტა | 1.90 | 1.70 |
| 12458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 2.00 | 1.60 |
| 12459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.60 | 2.00 |
| 12460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.60 | 2.00 |
| 12461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.55 | 2.10 |
| 12462 | ლილი-მანჩესტერი | 1.60 | 2.00 |
| 12463 | თუნი-აიაქსი | 1.60 | 2.00 |
| 12464 | ვერდერი-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 12465 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 1.70 | 1.90 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16450 | ბეტისი-ჩელსი | 2.60 | 1.30 |
| 16451 | ინტერი-პორტუ | 1.15 | 4.00 |
| 16452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 1.12 | 4.40 |
| 16453 | პეტრჟალკა-რეინჯერსი | 1.60 | 2.00 |
| 16454 | პსჟ-მილანი | 2.30 | 1.45 |
| 16455 | რუსენბორგი-რეალი | 3.20 | 1.25 |
| 16456 | შალკე-ფენერბაჰჩე | 1.25 | 3.00 |
| 16457 | არსენალი-სპარტა | 1.07 | 5.50 |
| 16458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.04 | 6.00 |
| 16459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.50 | 2.20 |
| 16460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.30 | 2.90 |
| 16461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.35 | 2.60 |
| 16462 | ლილი-მანჩესტერი | 2.10 | 1.50 |
| 16463 | თუნი-აიაქსი | 2.50 | 1.40 |
| 16464 | ვერდერი-უდინეზე | 1.35 | 2.60 |
| 16465 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 1.80 | 1.55 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15450 | ბეტისი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15451 | ინტერი-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15453 | პეტრჟალკა-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15454 | პსჟ-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15455 | რუსენბორგი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15456 | შალკე-ფენერბაჰჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15457 | არსენალი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15460 | ბრიუგე-რაპიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15462 | ლილი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15463 | თუნი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15464 | ვერდერი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15465 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14450 | ბეტისი-ჩელსი | 2.30 | 1.60 |
| 14451 | ინტერი-პორტუ | 1.20 | 2.60 |
| 14452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 1.15 | 2.60 |
| 14453 | პეტრჟალკა-რეინჯერსი | 1.70 | 1.95 |
| 14454 | პსჟ-მილანი | 2.20 | 1.70 |
| 14455 | რუსენბორგი-რეალი | 2.50 | 1.30 |
| 14456 | შალკე-ფენერბაჰჩე | 1.45 | 2.40 |
| 14457 | არსენალი-სპარტა | 1.08 | 2.90 |
| 14458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.06 | 2.90 |
| 14459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.80 | 2.00 |
| 14460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.40 | 2.40 |
| 14461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.65 | 2.20 |
| 14462 | ლილი-მანჩესტერი | 2.00 | 1.80 |
| 14463 | თუნი-აიაქსი | 2.20 | 1.70 |
| 14464 | ვერდერი-უდინეზე | 1.60 | 2.30 |
| 14465 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 1.95 | 1.85 |

# კახური საფარი

**ვიქტორ სანეევის** საიუბილეოდ ჩამოსული უცხოელები შინ ძალზე მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ, მაგრამ მათ მეხსიერებაში ყველაზე ღრმა კვალს ალბათ კახეთში გატარებული ერთი დღე დატოვებს, იქ გამგზავრება კი ექსპრომტად მოხდა. ეს იდეა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილს შაბათ საღამოს დაებადა, რამაც საკვირაო პროგრამა თავდაყირა დააყენა, უფრო სწორედ ჩაშალა.

ასე იყო თუ ისე, იმ დილით დათქმულ დროს „თბილისი მარიოტში" შევიკრიბეთ და, ისევ ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივით კახეთის გზას მსუბუქი ავტომობილებით კი არა, გაზიმზიმებული „მერსედესის" ავტობუსით მისივე წინამძღოლობით დავადექით.

ავტობუსის დაძვრა და „მგზავრული" ერთი იყო, მგზავრული „სულიკომ" შეცვალა, „სულიკო" „ციცინათელამ", „ციცინათელა" ჩაკრულომ... რაკი სტუმარს სახეზე კმაყოფილებას ატყობდნენ, ჩვენი მომღერლები უფრო ეშხში შედიოდნენ რეპერტუარის სულ მეტად ომახიანად უნაცვლებდნენ ერთმანეთს და ასე სულ დიმპიტაურით ვიმგზავრეთ.

მაგრამ იმ დილით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტ ლერი ხაბელოვსა და გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს სულაც არ ემღერებოდათ და ბადრი პატარკაციშვილის ხუმრობამ მათ ლამის ინფარქტი დამართა.

თუმცა, თავად პატარკაციშვილს მოვუსმინოთ, რომლის ნაამბობმაც მთელი ავტობუსი ახარხარა.

— ჰოდა, ამ დილით ლერი ხაბელოვი მირეკავს, — გვიამბობს ჩვენი წინამძღოლი, რომელიც თავადაც იუბილარია და 50 წელი ვუშინ ალნიშნა. ვეუბნები, კი მაგრამ, რა მოხდა, რა ამბავია, ამ დილაადრიან რომ მალვიძებ-მეთქი. ლერის ენა დაება და მუცელში ჩაუვარდა. მერე ბორძიკით მეკითხება, ბატონო ბადრი, წუხელ ხომ შევთანხმდით, რომ დღეს სტუმრები კახეთში უნდა წაგვეყვანა. ისინიც ახლა მზად არიან და ყველანი სასტუმროს ფოიეში გელოდებითო. ახლა მე შევიცხადე, რის სტუმრები, რა კახეთი, რას მელაპარაკები-მეთქი. ეტყობა, ჩემი ნათქვამი ემზარმაც გაიგონა, მე კი ყურმილში იმისი ნათქვამი მესმის, დაგვიღუპეთ, რაღა გვეშველებაო. ვგრძნობ, ლერი მთლად გაითეთრდა. ვიფიქრე, რამე არ დაემართოს-მეთქი და ვამშვიდებ, კარგი, რაკი ასეა და ყველანი მე მელოდებით, ორ წუთში დამირეკეთ და რალაცას მოვიფიქრებ-მეთქი. ზუსტად ორ წუთში მეც გამოვეცხადე და ორივემ შვებით ამოისუნთქა...

კაჭრეთში, ვენახებისკენ გადასახვევთან სულ ასე სიმღერ-სიმღერითა და ოხუნჯობით ჩავედით, იქ კი ათამდე ნაირგვარი ჯიპი გველოდა.

— ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ ჯიპებში გადაბრძანდეთ, — სთხოვა ბადრი პატარკაციშვილმა სტუმრებს და იქვე დასძინა, თქვენთვის ჩექმებითა და თბილი სამოსით მანქანა სავსეაო. ამის თქმაზე თვალი უმალ თურქეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტისა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ალმასკომის წევრ თოგაი ბაიათლისკენ გამექცა.

ამ რვა წლის წინათ, როცა ბაიათლი სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი იყო (ახლა საპატიო პრეზიდენტია) იგი თბილისს სტუმრობდა. მაშინ ბაიათლი საქართველოს პრეზიდენტის კრწანისულ რეზიდენციაში ცხოვრობდა, მაგრამ სადაც კი მივიდა, ყველგან სიცივე და სიბნელე დახვდა. ისე შესცივდა, რომ მას მერე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტებთან შეხვედრისას მუდამ იბუზებოდა და აციებდა. მაშინდელი შეშინებული ახლა ჩათბუნებული ჩამოვიდა და უამრავი თბილი სამოსიც ჩამოიტანა, თან გაკვირვებულმა გვითხრა, კაცო, თბილისი რაღაც განათებული და გალამაზებული მეჩვენება და რაღაც ძველებურად აღარ მცივაო.

ეტყობა, იმ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ მოყამული ამინდი იყო და ჟინჟლავდა, არც სხვებს სციოდა და პატარკაციშვილის შემოთავაზებულ სამოსზე ყური არავინ შეიბერტყა, თუმცა მერე ყველამ ინანა, რომ ჩექმები არ ჩაიცვეს, მანამდე კი ისინი ყველანი მხიარულად ჯიპებში გადასხდნენ. მათ ხალისის ტონუსი ბადრი პატარკაციშვილის სიურპრიზმა შემატა. ეს იყო ერთ-ერთი ჯიპის კაპოტზე დახვედრებული ცხელ-ცხელი შოთის პურები და უგემრიელესი გუდა, რასაც მასპინძელი კაი ყველის ვაჭარივით რეკლამას უწევდა, ნახეთ, ხალხო რა გუდაა, გუდის უნახავს გაგხდითო.

გუდასა და შოთის პურებს, რაღა თქმა უნდა, მასპინძლის კოლექციიდან უკეთილშობილესი თეთრი სითხე და საუკუნის დაძველებული ქართული კონიაკიც ახლდა, ამ ეგზოტიკური სუფრის მერე კი მართლაც კახური საფარი დაიწყო. იმ წარმოუდგენელ ტალახში ჯიპების ალლუმი ასევე წარმოუდგენელი სლალომით გაგრძელდა.

ასეთ რამეს თქვენ ხომ ვერსად ნახავთო, ხითხითით ეკითხება ჩვენი კოლეგა, ფოტორეპორტიორი სანდრო კოტორაშვილი ლატვიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ალდონს ვრუბლევსკის. ამაზე ვრუბლევსკიმ შეიცხადა, თქვენ რა, ამერიკიდან ხომ არ გგონივართ. ასეთი ტალახი ჩვენთან, ლატვიაშიც ბლომად მინახავსო.

სანდრო კი არ ისვენებს და, აი, არყის გამოხდა ნაღდად ნანახი არ გექნებათ და ახლა „ზავოდობაზე" ეს საამოვნება გელითო.

ლატვიელმა სანდროს ისევ ცივი წყალი გადაასხა, ნანახიც მაქვს, არაყს თავადაც ვხდი და ამ საქმეში თავი ავტორიტეტად მიმაჩნიაო. მერე, როგორც ექიმმა და რეანიმაციაში წლობით ნამუშევარმა კაცმა იმ ჯანჯღარში ალკოჰოლის სასარგებლო და მავნე თვისებებზე პატარა ლექცია ჩაგვიტარა. ცოტ-ცოტა ძალიან მარგებელია, განსაკუთრებით კახური ღვინოო.

ნაირგვარი კახური ღვინო კი, გიყვარდეთ, იმ დღეს არ მოგვკლებია. თუმცა, ადგილზე მისულებმა ცოცხალით, ხბოს მწვადებით, ყაურმით, ცივად მოხარშული დედლებითა და კიდევ ათასი რამით რომ „წაიხემსეს", ბადრი პატარკაციშვილმა ყველანი კალათებით და სეკატორებით შეიარაღებულნი ვენახში შერეკა.

რა დავუშავე ქართველებს ასეთი, წლეულს ამ ტალახში უკვე მეორედ რომ მაკრეფინებთ ყურძენსო, ხუმრობდა ოლიმპიური ჩემპიონი, მოლდავეთის ეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ლარისა პოპოვა.

ლარისა პოპოვასთვის, ალდონს ვრუბლევსკისთვის და კიდევ ერთიორი კაცისთვის რთველი თუ ახალი ხილი არ იყო, სხვებმა საერთოდ პირველად იხილეს მსხმოიარე ყურძნის „ხე". ჰოდა, ბადრი პატარკაციშვილისგან „შეშინებულებმა", ვისაც ჭამა უნდა, შრომაც უნდა უნდოდესო, ერთმანეთში შეჯიბრი გააჩაღეს. საშეჯიბრო აზარტს კი, აბა, ვინ ასწავლიდა ოლიმპიურ ჩემპიონებსა და მთელს დუნიაზე სახელგანთქმულ სპორტსმენებს: უკრაინელ სერგეი ბუბკას, ვალერი ბორზოვს, ესტონელ იაკ უუდმაეს, იგივე ლარისა პოპოვას, ან ჩვენ ლერი ხაბელოვსა და მაია აზარაშვილს. ჰოდა, იმათაც ხალისით კრიფეს და კრიფეს ყურძენი...

აი, ვიქტორ სანეევი კი „საჩკაობდა", მაგრამ საპატიო მიზეზი ჰქონდა — მრავალბრძოლაგარდახდილი, მტკივანი ფეხი. თუმცა, წინა საღამო ბადრი პატარკაციშვილთან შინ მოწყობილ ფურშეტზე ერთი კარგად დაუარა და ცეკვით გული იჯერა.

აბა, ახლა რაც აქ ჩემს საპატივცემულოდ ცეცხლოვანი ქართული ცეკვები გამართეს, მეც გული ამიჩქროლდა და რაღა გამაჩერებდაო. მაგრამ ის ცეკვა-თამაში გაკრიალებულ იატაკზე იყო, აქ კი მუხლებამდე ტალახი დაგვხვდა.

იმ ტალახში ყველანი უფრო გახალისდნენ, როცა იქვე ჩურჩხელები ყველას სათითაოდ ამოავლებინეს და ამით ქართველთა ყველაზე დიდ „საიდუმლოს" — „ხეზე მსხმოიარე" ხილს ფარდა ახადეს.

მანამ მწვადის სურნელი ტრიალებდა და ნაკვერჩხალზე სიმინდის ტაროებიც იბრაწებოდა, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე, ფრანგი ლეტიცია [illegible] მასპინძელთა მიერ [illegible] თევზებს თოკიდან ხსნიდა და ისევ წყალში უშვებდა, ცოდონი არიანო იმ ეგზოტიკური დღის ბოლო აკორდი კაკაბეთში სტალინის პორტრეტიან არყის სახდელში შედგა.

იქ შესვლისთანავე ერთ გერმანელს, „დაიმლერ ბენცის" წარმომადგენელს ჩვენი ულვაშა ბელადის პორტრეტი რომ შემოეგება, უცებ ელდა ეცა, ზლურბლთან გაქვავდა და უცებ ხმამაღლა რაღაც შესძახა. მერე სადღეგრძელო რომ ითხოვა, თქვა, რას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე სტალინის თანდასწრებით სადღეგრძელოს ვიტყოდი, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ცხოვრება პროგრესს განიცდისო.

და რაკი ზეიმი კარგია, მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს, მეფური სუფრა პირველმა აზერბაიჯანის ეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა და თავის ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰუსეინ ჩინგიზზადემ დიდი მობოდიშებით დატოვა, ხვალ ბაქოში სადოქტოროს ვიცავო. ამის გაგონებაზე ბადრი პატარკაციშვილმა სტუმარი შეაყოვნა, თქვენსავით მეც სადოქტორო დისერტაციის დასაცავად რომ უცხოეთიდან შინისკენ მოვეჩქარებოდა, ჩემს მეგობარს ვურეკავ და ვეუბნები, მაგვიანდება და ხვალინდელი გეგმა იცვლება, ოღონდ ყველა გააფრთხილე, რომ იცვლება პირველი ნაწილი, მეორე კი უცვლელად რჩება-მეთქი. მეორე ნაწილი, რა თქმა უნდა, სუფრა იყო. ამაზე მეგობარმა შეიცხადა, რა მოხდა, რამ შეგაშინა, როდის მომხდარა, რომ დისერტაციის დაცვა ვინმეს ჩავარდნოდაო. მაგრამ მე დაცვის კი არ მეშინოდა. უბრალოდ, იმ დროის ფული უკვე მიყვარდა, სადოქტორო კი ამ საქმეში რას მარგებდა. ჰოდა, ჩემო ჰუსეინ, იქნებ დაფიქრდე და ჩვენთან დარჩეო.

მაგრამ ჰუსეინმა მიგვატოვა, თუმცა ჩვენი სუფრაც მალე დასრულდა.

ბოლოს კახური საფარის მონაწილეებმა ბადრი პატარკაციშვილს დაბადების 50 წლისთავი მიულოცეს, ზედ საჩუქრებიც მიაყოლეს, მაგრამ საჩუქრებზე მეტად ის ესიამოვნა, როცა უთხრეს, სხვები თუ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, თქვენ სხვებზე ზრუნავთ და ეს ჩვენც კარგად ვიცითო.

აი, ასეთი იყო საკვირაო საფარი.

**ავთანდილ გურასაშვილი**

***ავტორის ფოტოები***



**ბადრი პატარკაციშვილმა შოთის პურები ყველას უწილადა**



ლარისა პოპოვა



ვიქტორ სანეევს სიძნელეში მონატრებული ქართული მწვადი ბლომად დაახვედრეს



# გონსალესის დუბლი და კლაისტერსის 30-ე ტიტული


AFP ლიონიდან

ენდი როდიკი

**ATP**
**ლიონი. საფრანგეთი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 650 000 ევრო**

**მეოთხედფინალი**

**ენდი როდიკი** (აშშ, 1) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 7) — 6:4 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) — 6:2 6:2; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — მარკ გიკუელი (საფრანგეთი) — 6:4 6:1; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) — 6:3 7:6

**ნახევარფინალი**

**ენდი როდიკი** (აშშ, 1) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — 6:4 7:6; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — 6:4 7:5

**ფინალი**

**ენდი როდიკი** (აშშ, 1) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) — 6:3 6:2

**ლიონში** დასრულებული ტურნირი ამერიკელი როდიკის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მან პირველობა მართლაც კარგად ჩაატარა, თამაშიდან თამაშამდე უმატებდა და საბოლოოდ ფინალში 19 წლის გაელ მონფილზი ძალიან იოლად დაამარცხა.

როდიკმა ლიონში კარგად გამოიყენა თავისი მთავარი იარაღი — ძლიერი მოწოდება, რის გამოც ტურნირის განმავლობაში ვერავინ შეძლო მისთვის ბრეიკის გაკეთება. გარდა ამისა, ამერიკელი კარგად გამოიყურებოდა თამაშის იმ კომპონენტშიც, რომელიც მისთვის ბოლო პერიოდში დიდი პრობლემა იყო, კერძოდ, მიღებაზე თამაში.

როდიკისთვის ეს წლეულს მოპოვებული მეხუთე ტიტულია. თუმც ტურნირები ATP-ის რანგის იყო, „დიდი მუზარადის" და მასტერსის სერიის რომელიმე ტურნირის მოგება კი ვერ შეძლო. თამაშის შემდეგ როდიკმა თქვა კიდეც, ამ ხუთ მოგებულ ტურნირს სიამოვნებით გავცვლიდი „დიდი მუზარადის" რომელიმე ტიტულზეო.

მონფილზთან მატჩი ენდიმ თავის წლის საუკეთესო შეხვედრად მიიჩნია და ისიც დაამატა, რომ ლიონში მან თავისი თამაშის რიტმი დაიბრუნა.

ახალგაზრდა ფრანგმა კი თამაშის დროს ძალიან ვნერვიულობდი და ამან დიდი როლი ითამაშა ჩემს მარცხშიო. შემდეგ კი იმედი გამოთქვა, რომ როდიკს მომავალში არაერთხელ შეხვდება და შეეცდება, რევანში აიღოს.


AFP სანქტ-პეტერბურგიდან

ტომას იოჰანსონი

**ATP**
**ბაზელი. შვეიცარია. მაგარსაფარი**
**საპრიზო 829 000 ევრო**

**მეოთხედფინალი**

**დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი, 5) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — 6:7 6:1 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე, 4) — ენდი მიურეი (ბრიტანეთი) — 6:4 3:6 6:1; **მარკოს ბაგდატისი** (კვიპროსი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) — 6:7 7:6 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა, 2) — პარადონ შრიჩაპანი (ტაილანდი) — 6:2 6:2

**ნახევარფინალი**

**ფერნანდო გონსალესი** (ჩილე, 4) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 5) — 6:0 6:3; **მარკოს ბაგდატისი** (კვიპროსი) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 2) 6:2 7:6

**ფინალი**

**ფერნანდო გონსალესი** (ჩილე, 4) — მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) — 6:7 6:3 7:5 6:4

**20 წლის** კვიპროსელმა, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში სენსაციებით გვანებივრებდა, ველარ შეძლო კიდევ ერთი და თავის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩის მოგება.

ბაგდატისმა ბოლომდე იბრძოლა ფინალში, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჩილიელი ფერნანდო გონსალესის უფრო მაღალმა კლასმა მაინც თავისი გაიტანა. არადა, კვიპროსელისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. მან შეძლო პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე მოგება და დაწინაურდა კიდეც. თუმც ჩილელმა შემდეგ ხელთ იგდო უპირატესობა და ზედიზედ ორი სეტი მოიგო.

მეოთხე სეტში, როცა ანგარიში 4:2 იყო გონსალესის სასარგებლოდ, ბაგდატისმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, ზედიზედ სამი გეიმი აიღო და 5:4 დაწინაურდა. თუმც ეს კვიპროსელის ბოლო წარმატება გამოდგა. მან ველარ შეძლო ვერც ერთი მოწოდების მოგება და მთლიანად თამაშიც წააგო.

ჩილიელმა კი ბაზელში ერთგვარი დუბლი შეასრულა — მან შვეიცარიაში მოიგო არა მარტო ერთეულთა, არამედ წყვილთა თანრიგის (მეწყვილე არგენტინელი აგუსტინ კალერი იყო) ტურნირებიც. წლეულს იგივე მხოლოდ როჯერ ფედერერმა მოახერხა გერმანულ ჰალეში.

გონსალესმა წლეულს მესამე ტურნირში გაიმარჯვა. ბაზელში წარმატებით ჩილიელი მიუახლოვდა რეიტინგის მერვე საფეხურს, რომელიც მასტერსის თასზე თამაშის უფლებას იძლევა, ახლა კი უკვე გონსალესიც ჩაერთო ამ მარათონში.

**ATP**
**სანქტ-პეტერბურგი. რუსეთი**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 975 000 $**

**მეოთხედფინალი**

**ნიკლას კიფერი** (გერმანია, 5) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 1) — 6:2 6:1; **რობინ ვიკი** (ჩეხეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 4) — 1:6 6:4 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი, 8) — კენეტ კარლსენი (დანია) — 6:4 6:2; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი, 2) — გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) — 6:2 7:6

**ნახევარფინალი**

**ნიკლას კიფერი** (გერმანია, 5) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 6:3 6:4; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი, 2) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი, 3) — 6:3 3:6 6:3

**ფინალი**

**ტომას იოჰანსონი** (შვედეთი, 2) — ნიკლას კიფერი (გერმანია, 5) — 6:4 6:2



ფერნანდო გონსალესი

**გერმანელ** ნიკლას კიფერს, როგორც ჩანს, რუსულ მიწაზე ტურნირის მოგება არ უწერია. ბოლო 14 დღის განმავლობაში ის მეორედ გავიდა რუსეთში მიმდინარე ტურნირის ფინალში (შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ მან იგორ ანდრეევთან წააგო კრემლის თასის ფინალში) და მეორედ დამარცხდა. თუმც ამჯერად მან პირწმინდად ლათმო თავისი შეხვედრა შვედ ტომას იოჰანსონთან.

შვედმა კი ტურნირი მართლაც კარგად ჩაატარა და პეტერბურგის პირველობის მოგება უკვე მეორედ შეძლო. პირველად ეს მან 1997 წელს მოახერხა.

იოჰანსონმა თამაშის შემდეგ აღნიშნა, რომ მიუხედავად დაფიქსირებული ანგარიშისა, კიფერის დამარცხება იოლი არ ყოფილა. გარდა ამისა, შვედმა ისიც თქვა, წლევანდელი წელი ყველაზე სტაბილური იყო ჩემს კარიერაშიო.

**WTA**
**ლინცი. ავსტრია**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 585 000 $**

**ფინალი**

**ნადია პეტროვა** (რუსეთი, 3) — პატი შნიდერი (შვეიცარია, 4) — 4:6 6:3 6:1

**ავსტრიულ** ლინცში რუსმა ნადია პეტროვამ შეძლო ნავსის გატეხვა და მოიგო თავისი პირველი ტიტული კარიერაში. 23 წლის რუსისთვის წლევანდელი სეზონი ყველაზე წარმატებული გამოდგა. საკმაოდ სტაბილურად თამაშობდა მთელი წლის განმავლობაში და წლის ბოლოს შედეგიც გამოჩნდა.

პეტროვამ ფინალში შვეიცარიელ პატი შნიდერი დაამარცხა, რომელმაც 7 დღის ინტერვალით მეორე ფინალი წააგო. შეგახსენებთ, რომ წინა კვირას შვეიცარიელი მშობლიურ ციურიხში დამარცხდა ლინდსი დევენპორტთან.

თამაში კი დაძაბულად წარიმართა და რუსისთვის მეტად არასახარბიელოდ დაიწყო. პირველი სეტი შნიდერმა უფრო კარგად ჩაატარა და მოიგო. თუმცა პეტროვა ამის შემდეგ ისე ათამაშდა, რომ შვეიცარელი სტატისტი უფრო იყო, ვიდრე კორტზე მოთამაშე ჩოგბურთელი. შნიდერმა მომდევნო ორ სეტში მხოლოდ ოთხი გეიმის აღება შეძლო და ფარ-ხმალიც დაყარა.

თამაშის შემდეგ პეტროვამ ეს მოგება წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია. საკუთარი ძალების ვირწმუნე, რაც უკეთესი სეზონის წინაპირობა იქნებაო.

გეგმები დიდია. ვნახოთ, რას მოუტანს მომავალი სეზონი.

**WTA**
**ჰასელტი. ჰოლანდია**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 170 000 $**

**ფინალი**

**კიმ კლაისტერსი** (ბელგია, 1) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია, 3) — 6:2 6:3

**ჰოლანდიურ** ჰასელტში მიმდინარე ტურნირი განსაკუთრებული საპრიზო ფონდით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ფინალი მაინც მეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო. თუმც წლის ბოლოს ბელგიელი კლაისტერსი ისეთ ფორმაშია, რომ თუ თვითონ არ დაუშვებს ბევრ შეცდომას, მისი დამმარცხებელი იტალიელი ფრანჩესკა სკიავონეზე ძლიერი ჩოგბურთელებიც კი არ [illegible]

კლაისტერსმა ტურნირი ერთი ამოსუნთქვით გაიარა და ფინალშიც მეტად იოლი გამარჯვება მოიპოვა. თუ ბელგიელის ბოლო პერიოდში ნაჩვენებ თამაშს გავითვალისწინებთ, მაშინ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ლოს ანჯელესში გასამართ მასტერსის თასზე ის აშკარა ფავორიტი იქნება.

ჰასელტში გამარჯვებით კი კლაისტერსმა სეზონში მეცხრე ტიტული მოიგო და 2003 წლის ნაჩვენები შედეგი გაიმეორა. შედეგი, დაგეთანხმებით, მართლაც შთამბეჭდავია. ამასთანავე ეს იყო ბელგიელის 30-ე ტიტული კარიერის განმავლობაში.

**კახა ლომაშვილი**


AFP ჰასელტიდან

კიმ კლაისტერსი

# ორი მილიონი ჩემპიონატისთვის



ვესელინ ტოპალოვი შესაძლოა ვლადიმერ კრამნიკს დაუპირისპირდეს



**პლანეტის** ახალი ჩემპიონი ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი ეგებ კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ რუს ვლადიმერ კრამნიკს დაუპირისპირდეს.

„თუ კრამნიკის სპონსორები 2 მილიონ დოლარს გამოძებნიან, მატჩი შედგება" — განაცხადა ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჯერ კიდევ ორი ჩემპიონი ჰყავს, ტოპალოვი და კრამნიკი. წესით, ბულგარელი აბსოლუტურ ჩემპიონად ითვლება, თუმცა რუსი მას არ აღიარებს და უძლიერესის გამოსავლენად ბრძოლაში იწვევს.

ტოპალოვი უარზეა კრამნიკთან შეხვედრაზე, რადგანაც ამის აუცილებლობას ვერ ხედავს.

„კრამნიკი ფიდეს რეიტინგში მეშვიდეა და ჩემი გამოწვევის უფლება არა აქვს. თუ შევხვდები, ეს მხოლოდ კომერციული მატჩი იქნება" — აღნიშნა ბულგარელმა.

ილუმჟინოვის თქმით, თუ კრამნიკი მოიგებს, ოფიციალური ჩემპიონიც გახდება, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა კომერციული იქნება. ტოპალოვს კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

„რეაქციანი ტურნირი, მგონი, კარგი გამოვიდა. ამიტომ 2007-შიც ჩემპიონატი ასეთი სქემით გაიმართება — განაცხადა ილუმჟინოვმა — ამის შემდეგ ძველი ვითარება აღარ განმეორდება, როცა ჩემპიონი მოწინააღმდეგეებთან შეხვედრას თავს არიდებდა და გვირგვინს ამ გზით ინარჩუნებდა. მომავალში თუ ჩემპიონი უარს იტყვის თამაშზე, ტიტული ავტომატურად ჩამოერთმევა".

**ლაშა გეგეჭკორი**



## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

XV ეტაპი. ესპანეთი, 356,0 კმ




AFP

სებასტიენ ლოებმა (მარჯვნივ) და დანიელ ელენამ წლეულს მეათე დიდი პრიზი მოიგეს

### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3სთ; 31.07,0 |
| 2 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, სიტროენი) | ჩამორჩა 1.21,0 |
| 3 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 2.46,7 |
| 4 | ხავიერ პონსი (ესპანეთი, პეჟო) | 2.47,9 |
| 5 | რომან კრესტა (ჩეხეთი, ფორდი) | 3.24,6 |
| 6 | ნიკოლა ბერნარდი (საფრანგეთი, პეჟო) | 4.09,4 |
| 7 | ანდრეა ვარმბოლდი (გერმანია, ფორდი) | 5.00,3 |
| 8 | იან კოპეცკი (ჩეხეთი, შკოდა) | 5.22,3 |

### საერთო ჩათვლა

1 ლოები — ელენა 127 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი (ფინეთი, პეჟო) 71; 3 პ. სოლბერგი — მილსი 71; 4 გარდმაისტერი — ჰონკანენი 58; 5 მარტინი — პარკი (პეჟო) 53; 6 დიუვალი — მილსი (სიტროენი) 37; 7 როვანპერა — პიეტილაინენი (ფინეთი, მიცუბისი) 31; 8 კრესტა — მოჟნი 26; 9 შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 16; 10 ჰირვონენი — ლეჰტინენი 14

### კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 178 ქულა, პეჟო 135, ფორდი 100, სუბარუ 91, მიცუბისი 63, შკოდა 18



# ფერარის კოლეგები ძრავაზე ჰკიდია
## ბელგია ისევ სათუოა

**საგაისო** საპირველფორმულო ჩემპიონატის ოფიციალური სამზადისი გუნდებს, წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, ნოემბერში საყოველთაო სატესტო სერიით უნდა დაეწყოთ.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, თავისას არ იშლის „სკუდერია ფერარი". იტალიური სუპერსაჯინიბოს ბოსობა არაფრად აგდებს გუნდების შორის დადებულ „ჯენტლმენურ შეთანხმებას" სატესტო დღეების შეკვეცაზე, რაც, ბუნებრივია, უამრავმილიონიანი დანახარჯების შემცირებისკენაა მიმართული.

სკუდერიელებს ფული თავზე საყრელი აქვთ, თანაც, ცხადია, წლევანდელი ჩავლავებისთვის მომავალ სეზონში ღირსეული რევანშის აღებას აპირებენ და უკვე შეუდგნენ ახალი რეგლამენტის შესატყვისი, რვაცილინდრიანი ძრავის გამოცდას.

ესპანეთში, ვალენსიის ტრეკზე ორი დღე ეულად იქროლა „ფერარის" ახალწვეულმა ბრაზილიელმა ფელიპე მასამ. 24 წლის ექსზაუბერელმა „წითლების" ბანაკში თანამემამულე რუბენს ბარიკელო შეცვალა, რუბინიო კი მოგეხსენებათ, „ბარ-ჰონდაში" გადავიდა.

მასამ 46 და 71 წრე გაიქროლა და მისი ახალი შეფებიც მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩნენ სიახლის გამოცდით.

პილოტები სეზონთშორის ხუთთვეურში კიდევ არაერთხელ გაივარჯიშებენ, 2006 წლის ჩემპიონატი კი 12 მარტს დაიწყება, ოღონდ ტრადიციულად არა ავსტრალიის, არამედ ბაჰრეინის დიდი პრიზის გათამაშებით.

მწვანე კონტინენტზე რბოლა კი სამი კვირის მოგვიანებით ჩატარდება. ეტაპთმონაცვლეობის მიზეზი გახდა ის, რომ მარტში ავსტრალია ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყანათა ტრადიციულ თამაშებს უმასპინძლებს.

არის კიდევ ორი-სამი სხვა გადაადგილებაც, რაც ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებმა გამოიწვია. მერამდენედ გამოდის, რომ ფორმულამ ფეხბურთის სასარგებლოდ უკან დაიხია.

სათუოა ბელგიის დიდი პრიზის გათამაშება. „სამეფო რბოლების" ამ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ეტაპის ორგანიზატორ-პრომოუტერი კომპანია **DDGPF1** გაკოტრდა, რადგან ბოლო წლებში ათი მილიონი ევროს ზარალი ნახა. და მიუხედავად იმისა, რომ ბელგიური ეტაპის ჩატარებაზე „სამეფო რბოლების" ბოსებთან კონტრაქტი 2010 წლამდეა ხელმოწერილი, სადღეისო ვითარება მაინც ასე თუ ისე საგანგაშოა, რადგან ხსენებული გალატაკების მიზეზით ახალი მეფუილეს მოძებნამდე ბელგიური ეტაპი სიაში პირობითადაა.

გაისადაც 19 დიდი პრიზი გათამაშდება. თუმცა რომში, ავტოსპორტის მსოფლიო საბჭოს სხდომაზე მიღებული საგაისო კალენდარი ჯერჯერობით წინასწარია და ერთ თვეში დაზუსტდება.

**გია ახალაძე**

### 2006 წლის წინასწარი კალენდარი

| თარიღი | ქვეყანა | ქალაქი | ტრასა, კმ |
|---|---|---|---|
| 12 მარტი | ბაჰრეინი | მანამა | 5,417 |
| 19 მარტი | მალაიზია | კუალა ლუმპური | 5,543 |
| 2 აპრილი | ავსტრალია | მელბურნი | 5,303 |
| 23 აპრილი | სან მარინო | იმოლა | 4,933 |
| 7 მაისი | ევროპა | ნიურბურგი | 5,148 |
| 14 მაისი | ესპანეთი | ბარსელონა | 4,627 |
| 28 მაისი | მონაკო | მონტე კარლო | 3,340 |
| 11 ივნისი | დიდი ბრიტანეთი | სილვერსტოუნი | 5,141 |
| 25 ივნისი | კანადა | მონრეალი | 4,361 |
| 2 ივლისი | აშშ | ინდიანაპოლისი | 4,192 |
| 16 ივლისი | საფრანგეთი | ნევერი | 4,411 |
| 30 ივლისი | გერმანია | ჰოკენჰაიმი | 4,574 |
| 6 აგვისტო | უნგრეთი | ბუდაპეშტი | 4,381 |
| 27 აგვისტო | თურქეთი | სტამბოლი | 5,378 |
| 10 სექტემბერი | იტალია | მონცა | 5,793 |
| 17 სექტემბერი | ბელგია | სპა ფრანკორშამი | 6,973 |
| 1 ოქტომბერი | იაპონია | სუძუკა | 5,807 |
| 8 ოქტომბერი | ჩინეთი | შანხაი | 5,451 |
| 22 ოქტომბერი | ბრაზილია | სან პაულუ | 4,309 |




„სამეფო რბოლების" 57-ე სეზონი „საპირზე" დაიწყება

# საყვარელიძეს უცხოეთი გადაედო აგერ არაა თსუ?!



დავით საყვარელიძემ გასული სეზონი ფრანგულ „შალონში“ გაატარა, თუმც ბედის ბორბალი წაღმა დაუტრიალდა და კარიერას საქართველოში გააგრძელებს. საყვარელიძემ შალონელთა დუბლებში თავი კი გამოიჩინა, მაგრამ საფრანგეთის ჩემპიონატში არაევროკავშირელ მოთამაშეებზე ლიმიტი დააწესეს და მას სხვა ქვეყნის გუნდის ძებნა მოუხდა. ერთი ხანობა გერმანული „ბრაუნშვაიგის“ ვარიანტი გამოუჩნდა და წასასვლელადაც გაემზადა, მაგრამ... ამ ლოდინ-ლოდინში სეზონი დაიწყო და საყვარელიძემაც გადაწყვიტა, ქართულ კლუბში მოწყობილიყო...

— გადავწყვიტე, რომელიმე ქართულ გუნდში ვითამაშო რაკი, საზღვარგარეთ ჯერჯერობით ვერ მივდივარ — გვითხრა დავით საყვარელიძემ.

**— ამას წინათ გერმანულ „ბრაუნშვაიგში“ წასასვლელად ემზადებოდი...**

— სამწუხაროდ, ეგ ვარიანტი არ გამოვიდა, არც სხვები გამოჩნდა და ამიტომ დროებით საქართველოში თამაში გადავწყვიტე.

**— რომელიმე გუნდს უკვე გაურიგდი?**

— არა, ჯერ არავისთან არ მილაპარაკია, მაგრამ გუნდის მოძებნა არ უნდა გამიჭირდეს. სეზონის წინ თსუ-დან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ უცხოეთში სწავლას ვაპირებდი და უარი ვუთხარი. ახლაც არავინ მეხმიანება, რადგან ყველამ იცოდა, რომ საზღვარგარეთ ვაპირებდი წასვლას, თუმც ეს არაა პრობლემა.

**— ესე იგი, თსუ-ს თავს შეახსენებ?**

— როგორც ვთქვი, მოლაპარაკება ჯერჯერობით არც ერთ ქართულ კლუბთან არ მაქვს, მაგრამ ყველაზე რეალურად მაინც თსუ-ს ვარიანტს მივიჩნევ. თავად მე მივალ და არა მგონია, უარი მითხრან.

**— სხვა ქართულ კლუბში თამაში არ გინდა?**

— შესაძლოა, „ავიამშენშიც“ ვითამაშო, მაგრამ პირველ რიგში მაინც თსუ-ზე ვაკეთებ არჩევანს. ოღონდ ერთი პირობით: თუ უცხოური კლუბის ვარიანტი გამომიჩნდა, უპრობლემოდ უნდა გამიშვან.

**ირაკლი პერტაია**



# მთავარი ბაქოური სიკეთე

**ბაქოში, საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდა თბილისელი წყალბურთელებიც მიიწვიეს, რომლებსაც გიგა მაზიაშვილი ავარჯიშებთ.**

**სამწუხაროდ, ტურნირზე მიზეზთა გამო სხვა უცხოური გუნდები ვერ ჩავიდნენ. ამიტომ ჩვენ გუნდს მხოლოდ მასპინძლებთან მოუწიათ პაექრობა. თბილისელებმა ბაქოში კარგად ისპარეზეს და, შეიძლება ითქვას, მასპინძლებს წყალბურთის გაკვეთილები ჩაუტარეს, როცა რვიდან შვიდი შეხვედრა მოუგეს.**

**ჩვენი წყალბურთელების შესახებ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ მოგვითხრო, რომელიც ბაქოში სპეციალურად ამ ბიჭებზე დასაკვირვებლად გაემგზავრა.**

— ეს ბავშვები საქმეში პირველად ვნახე — გვიამბობს სოსო მაისურაძე. მთლიანობაში მათი თამაშით კმაყოფილი ვარ. მართალია, აზერბაიჯანში წყალბურთის დონე ძალიან დაბალია, მაგრამ რვიდან შვიდი თამაშის მოგება მაინც იოლი არაა. ის ერთი მარცხიც მხოლოდ ჩვენი გუნდის გადაღლილობით აიხსნება. ბავშვები მთელი ლამის უძინარნი იყვნენ.

— პირველი თამაში მასპინძელთა კლუბებიდან შერჩეულ საუკეთესო წყალბურთელებთან გავმართეთ და სწორედ მათთან დავმარცხდით. შემდეგ ცალ-ცალკე „ნეფთჩს“ და ცსკას ვეთამაშეთ და იოლად დავამარცხეთ. დარჩენილი ხუთი შეხვედრა კი ისევ ნაკრებთან ჩავატარეთ და ხუთივეში იოლად გავიმარჯვეთ.

ეს ტურნირი ჩვენთვის მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ ნელ-ნელა შევეგუეთ იმ ახალ წესებს, რომლებიც 15 სექტემბრის შემდეგ ვრცელდება. შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში ორივე მხარე ერთად გავთვითცნობიერდით. არადა, ახალ წესებში კარგად გარკვევა ძალიან მნიშვნელოვანია. წინ უკრაინის ღია პირველობა გველის და სიახლეების აუთვისებლად იქ გაგვიჭირდება.

მთავარი სიკეთე, რაც ამ ტურნირმა მოგვცა, ეს იყო პერსპექტიული ბავშვების შერჩევის საშუალება. შემიძლია გითხრათ, რომ საბოლოოდ ჩამოვყალიბდით. ძალიან მომეწონნენ: მეკარეები სანდრო კანდელაკი და ირაკლი მაღრაძე, აგრეთვე „მინდვრის“ მოთამაშეები ერეკლე გაბუნია, ირაკლი მოსეშვილი და დიმიტრი კრავეიშვილი, რომელმაც ბაქოში შესანიშნავად ისპარეზა და ბომბარდირიც გახდა.

ამ ბიჭების პერსპექტიულობას მიუხედავად, მათ უკრაინაში მაინც სათადარიგო მოთამაშეების რანგში მოუწევთ წასვლა, რადგან ძირითადში ადგილს ლეგიონერები დაიკავებენ, რომლებიც ბევრად უფრო გამოცდილები არიან. თუმცა, ჯერ არ ვიცით, რამდენი ლეგიონერი მოახერხებს საუკრაინოდ ჩამოსვლას. თუ ამ მხრივ პრობლემები იქნება და შედარებით ცოტანი ჩამოვლენ, ვიდრე ვგეგმავთ, მაშინ უფრო მეტ ახალგაზრდა სპორტსმენს ექნება თავის გამოჩენის შანსი.

ისე კი, მჯერა, რომ ამ ბიჭებს ნამდვილად შეუძლიათ დიდი შრომის ფასად ნაკრებში დაიმკვიდრონ ადგილი. მათ ამის პოტენციალი ნამდვილად აქვთ.

**ლეძსო მაისურაძე**


ფრენბურთი
პირველი ლედის თასი
სპორტის სასახლე
11 ნოემბერი
აღმოსავლეთი — დასავლეთი
(ქალები)
დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა
საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია




რეგულარული ჩემპიონატი

# ნაცნობ გარემოში დაბრუნება

30 ოქტომბერი

**ოტავა 3:5 ფილადელფია**

*1:2 1:2 1:1*

**0:1 კარტერი (10), 0:2 განიე (15), 1:2 ხარა (18), 2:2 ხარა (28), 2:3 კნუბლი (37), 2:4 სიმი (40), 2:5 კნუბლი (42), 3:5 რედენი (50)**

**თავის** წინა შეხვედრაში „ფილადელფიამ“ „კაროლინასთან“ 6:8 წააგო, თან მაშინ, როცა ორი პერიოდის შემდეგ 5:3 იგებდა. ცხადი იყო, რომ ამჯერად სტუმრები შეეცდებოდნენ, არ გაემეორებინათ შეცდომები და ასეც მოხდა. სამაგიეროდ, მაშინ „ოტავამ“ ზედმეტად იოლად მოუგო „ტორონტოს“ 8:0 და, როგორც ეს ხშირად ხდება, ოდნავ მოდუნდა. ასე რომ, სტუმართა მოგება მოსალოდნელი იყო, და მატჩის შემდგომ ორივე გუნდის მოთამაშეებმა ეს დაადასტურეს კიდეც.

„წინა თამაშის შემდეგ აშკარად გაბრაზებულნი ვიყავით. ამჯერად მოპოვებული უპირატესობა არ გავუშვით ხელიდან“ — თქვა ნამატჩევს „მფრინავთა“ ფორვარდმა, ორი გოლის ავტორმა მაიკ კნუბლმა.

„ტორონტოსთან რასაც ვურტყამდით, ყველაფერი კარში ვარდებოდა. დღეს ბედი იმდენად აღარ გვწყალობდა, ჩვენ კი საკმარისად ვერ ვიშრომეთ“ — ეს „სენატორთა“ ფორვარდ ჯეისონ სპეცას სიტყვებია.

**ანაჰაიმი 3:2 ფინიქსი**

*0:1 2:0 1:1*

**0:1 სენდერსონი (9), 1:1 სელიანე (25), 2:1 მაკდონალდი (40), 2:2 ლეკლერკი (41), 3:2 მაკდონალდი (44)**

**ტეემუ სელიანეს** „ანაჰაიმში“ დაბრუნება ძალიან მოუხდა. ოდესღაც ფინელი სწორედ „იხვების“ რიგებში ასპარეზობდა და საკმაოდ ნაყოფიერადაც, „კოლორადოში“ კი აღარ წაუვიდა საქმეები კარგად. იქნებ ამიტომაც ამჯობინა სელიანემ ნაცნობ გარემოში დაბრუნება და არც ნანობს. ამ მატჩში ტეემუმ სეზონში მე-9 გოლი გაიტანა და ორ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა.

**სამველ ღარიბიანი**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | |
| რეინჯერსი | 12 | 6 | 3 | 3 | 40:28 | 15 |
| ფილადელფია | 10 | 6 | 3 | 1 | 44:37 | 13 |
| ნიუ ჯერსი | 11 | 6 | 5 | 0 | 35:40 | 12 |
| აილენდერსი | 11 | 5 | 6 | 0 | 33:41 | 10 |
| პიტსბურგი | 11 | 1 | 5 | 5 | 36:52 | 7 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 10 | 8 | 2 | 0 | 42:22 | 16 |
| მონრეალი | 11 | 7 | 3 | 1 | 33:32 | 15 |
| ბუფალო | 11 | 7 | 4 | 0 | 35:32 | 14 |
| ბოსტონი | 13 | 5 | 5 | 3 | 44:45 | 13 |
| ტორონტო | 11 | 5 | 4 | 2 | 39:40 | 12 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 11 | 8 | 2 | 1 | 47:32 | 17 |
| ტამპა | 12 | 7 | 3 | 2 | 37:26 | 16 |
| ფლორიდა | 11 | 6 | 4 | 1 | 27:28 | 13 |
| ვაშინგტონი | 11 | 4 | 7 | 0 | 24:46 | 8 |
| ატლანტა | 11 | 3 | 8 | 0 | 31:45 | 6 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | |
| დეტროიტი | 12 | 11 | 1 | 0 | 51:23 | 22 |
| ნეშვილი | 10 | 8 | 1 | 1 | 30:27 | 17 |
| კოლუმბუსი | 12 | 4 | 8 | 0 | 22:38 | 8 |
| ჩიკაგო | 11 | 3 | 8 | 0 | 30:43 | 6 |
| სენტ ლუისი | 11 | 2 | 7 | 2 | 32:44 | 6 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 12 | 8 | 2 | 2 | 43:37 | 18 |
| მინესოტა | 12 | 6 | 4 | 2 | 37:25 | 14 |
| კოლორადო | 11 | 6 | 4 | 1 | 49:36 | 13 |
| ედმონტონი | 12 | 5 | 6 | 1 | 32:40 | 11 |
| კალგარი | 13 | 4 | 7 | 2 | 29:39 | 10 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 12 | 8 | 4 | 0 | 43:32 | 16 |
| ანაჰაიმი | 12 | 6 | 5 | 1 | 37:35 | 13 |
| დალასი | 11 | 6 | 4 | 1 | 34:39 | 13 |
| სან ხოსე | 12 | 6 | 5 | 1 | 37:44 | 13 |
| ფინიქსი | 14 | 5 | 8 | 1 | 36:41 | 11 |



ოტავა — ფილადელფია. „მფრინავთა“ თავდამსხმელი ჯონ სიმი მასპინძლებმა ანტონ ვოლჩენკოვმა და დომინიკ ჰაშეკმა ვერ დაიჭირეს



**ინგლისი**
პრემიერლიგა. XI ტური
სიტი 3:1 ასტონ ვილა

**იტალია**
სერია B. XIII ტური
ბრეშა 2:2 მოდენა
კრემონეზე 1:2 პიაჩენცა

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. XI ტური
მიუნხენი 0:0 ალემანია

**პორტუგალია**
სუპერლიგა
IX ტური
ბრაგა 2:0 ბელენენსეში

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. XIV ტური
ბრესტი 4:1 სედანი

**ირლანდია**
პრემიერლიგა. XXX ტური
დუბლინი 0:2 დერი
ბოჰემიანი 1:2 კორკი
შელბურნი 5:0 ბრეი

**საბერძნეთი**
ნაციონალლიგა. VIII ტური
პანიონიოსი 0:2 აეკ

**ჩეხეთი**
გამბრინუსლიგა. XI ტური
ბრნო 1:0 სლავია




# პრეზიდენტის თასის ქალები

თბილისი. სპორტის სასახლე
29-30 ოქტომბერი

**ბადრი კეთილაძის ფოტორეპორტაჟი**







**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქროპირიძე
**მთავარი რედაქტორი** ილია ბაბუნაშვილი
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**პასუხისმგებელი რედაქტორი** ავთანდილ გურასაშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გია ახვლედიანი, გიორგი ღარეჯანია, გიორგი კაშაკაძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, თამარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია
**ფოტორეპორტიორები:** გურამ ლოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ხათუნა ბესხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ნატო ლეკლიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, ირინა ფილიხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge